და არა მარტო ისინი... ყველას უდრემის მადლობა! არ გაფრთხობთ მტრების სისინი გაზეთი „ილორის“ „სარდლობას“.

დღეს არვის ეპატიება ნეიტრალურად დარჩენა; ვინც იღვწით – ყველას დიდება სამშობლოს გადასარჩენად!

სულიყო ხეტეშვილი, დამოუკიდებელი ჟურნალისტი, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი, გაზეთი „ახალი პორტოალი“ და გამომცემლობა „ხელოვნების“ მთავარი რედაქტორის მოადგილე.



**წარმატებები მისურვებია!**  
გილოცავთ ქართული ბეჭდვითი სიტყვის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენლის გაზეთი „ილორის“ მეასე ნომრის გამოსვლის ღირსესანიშნავ მოვლენას!  
არავისათვის საიდუმლოებას

არ წარმოადგენს ის, რომ ტოტალიტარული სულისკვეთებით გაუდენილ საქართველოს ხელისუფლებას მიძიმე წნეხის ქვეშ აქვს მოქცეული თავისუფალი სიტყვა, რადგან მართალ სიტყვას გამოდევნებულ უშიშარი ჟურნალისტები ხელს უშლიან აშკარად არაქართული მენტალიტეტის მქონე მმართველთა საქართველოს პოლიტიკურად, ეკონომიკურად, რელიგიურად და სულიერად დანგრევაში. საქართველოსა და ქართველობის წმინდა „გრძალის“ ერთ-ერთ მეციხოვნედ და ქართული ეროვნული სულის უშიშარ დამცველად სწორედ გაზეთი „ილორი“ მეგულის, რომლის ობიექტური აზრი მისაღები და მისასაღმებელია სამშობლოს მოსიყვარულე ყველა გულწრფელი ადამიანისათვის.

დღეს, როცა საქართველო ობიექტური ინფორმაციის ვაკუუმში იმყოფება, როცა ხელისუფლება ყოველი საშუალებებით ცდილობს დაუმალოს ხალხს სიმართლეს და სხვა თემებზე გადაიტანოს მისი გულისთქმა, მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება „ილორის“ გვერდებზე გაშუქებულ საკითხებს, რომელიც მოიცავს საქართველოს პოლიტიკას, ეკონომიკას, რელიგიას, მორალს, ზნეობას, სოციალურ, ჯანმრთელობის და სხვა სფეროებს.

გამძლეობას და მომავალ შემოქმედებით წარმატებებს გისურვებთ, მეგობრებო!

პატივისცემით,  
**ბეგლარ გოგოლაძე,**  
პროფესორი

**ბეგლარ გოგოლაძე**

**ბეგლარ გოგოლაძე**  
პროფესორი

ლუკმას მიერთებებს. მათთვის ეროვნული ინტერესი საკუთარ კუჭს მიღმა დგას, საკუთარი კეთილდღეობის გარდა არაფერი აღელვებთ...

სწორედ ასეთ ადამიანებს ატყდებათ თავს „ილორის“ რისხვა, გაზეთი დაუნდობლად ძირკვავს ამ სულიერ, ზნეობრივ, რელიგიურ და ეთნიკურ სარეველას, გზას უკაფავს ეროვნულ სულისკვეთებას, პატრიოტიზმს, ისეთ მარადიულ ღირებულებას, როგორცაა სამშობლოსათვის თავგანწირვა...

გისურვებთ, კვლავაც ამ შემართებით გველოთ სიმართლის, ობიექტურობის, ფარისეველთა მხილებისა და სამშობლოს სიყვარულისა და ერთგულების გზაზე. ძნელია ეს სავალი, მაგრამ იგი ქრისტეს გზაა!

დემოტი იყოს თქვენი და სრულიად საქართველოს მფარველი!  
**ვახტანგ მარტიაშვილი,**  
მხატვარი



გულოცავ გაზეთ „ილორს“ და მის შემოქმედებით კოლექტივს დაფუძნებულ მე-100 ნომრის გამოცემას.

100 ნომრის გამოცემა სწორედ რამ საიუბილეოა და მისი გამოსვლა, ვფიქრობ, ზეიზად უნდა ექცეს, როგორც გაზეთის და მის შემოქმედებით კოლექტივს, ასევე მკითხველთა ფართო წრეს.

„ილორი“ თავისი არსებობის მანძილზე დგას ქართველი ერის, საქართველოს მოსახლეობის, მათი კუთხვების ერთიანობის სადარჯოზე. იგი იღვწის საქართველოს ერთიანობისა და დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად.

სწორედ რომ მოღვაწეობა და დეაქტის გაღება საჭირო საზოგადოების და ქვეყნის გამთლიანებისათვის.

მოღვაწეობა, საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური საქმიანობაში, ქვეყნის საგარეო თუ შიდა პოლიტიკაში, არის მშვიდობიანი თანაარსებობის ფუნდამენტი. სამწუხაროდ, პოლიტიკოსთა უმეტესობა, სწორედ ბრძოლით იწყებს თავის საქმიანობას და ავიწყდებათ, რომ ღირსი, დახვეწილი პოლიტიკური მოღვაწეობა სიმშვიდის და მშვიდობიანი თანაარსებობის გარანტიაა.

ნიშნდობლივია ისიც, რომ გაზეთის სახელწოდება, სწორედ იმ ილორის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიას უკავშირდება, სადაც თითქმის ნახევარი საქართველოა მონათლული. ის ხომ კომუნისტების ეპოქაში ერთადერთი მოქმედი ეკლესია იყო დასავლეთ საქართველოში. დღეს კი იგი ამ ეტაპზე დაკარგული ტერიტორიების ფარგლებშია მოქცეული და სწორედ „ილორისთვის“ უპირანია ტერიტორიული მთლიანობისათვის დეაქტის გაღება.

დაე, უფალი შეეწიოს მას ამ დიდ სამამულიშვილო საქმეში!  
**ზურაბ ქობალია**  
ჟურნალისტი

**ჩემს მეგობრებს, გაზეთ „ილორის“ შემოქმედთ,**

**ბატონებს როლანდ ჯალაღანიას და დავით ქობალიას**

გილოცავთ „ილორის“ მე-100 ნომრის დაბადებას!

რა დამაიწყებს თქვენი და თქვენი გაზეთის თანადგომას, როცა საგანგებო შეხვედრაზე, დაბნეული ვიდეო ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების წინაშე და გაუთავებელ მადლობებს ვისმენდი იმ მცირედი დახმარების გამო, რაც 1500 გერმანულენოვანი წიგნის ჩამოტანას მიეძღვნა.

მასხოვს, ჩემს სამადლობელ სიტყვაში, ვცადე ბოდიში მომეხადა მხოლოდ წიგნით დახმარების გამო...

დარბაზი შემომეხმინა – თქვენ სწორ მისამართზე ხართ მოსული, აქ წიგნის ფასის სწავლება არ დაგჭირდებათ!

მთელი დედამიწა მაქვს ფეხით მოვლილი. ვფიქრობ და არსად შემხვედრია – წიგნის მზითვეში ატანდნენ ქალიშვილს. მე იგი საქართველოში ვნახე – 800 წლის წინ დაწერილი წიგნია იგი – „ვეფხისტყაოსანი“!

ჩემო ძვირფასო ქართველებო – გისურვებთ, მომავალ, საბოლოოდ თავისუფალ თაობებს, თავისუფალ საქართველოში „ვეფხისტყაოსანთან“ ერთად „ილორის“ ასი ნომერიც გაეტანებინოთ მზითვეში ქალიშვილებისთვის!

**დოქტორი ჰერბერტ ვიდეინი,**  
ლაიხლინგენი, გერმანია



**გაზეთ „ილორის“ რედაქციას** გულითადად გილოცავთ „ილორის“ მეასე ნომრის გამოსვლას.

საკრალური ციფრია-100, მჯერა, ასი წელიწადი იქნებით აგრე ბრძენი, თავისუფალი, უბატონო, კეთილშობილი „ილორს“ და გამბობ ჩემთვის: რა უნდა ეკეთებინათ ადამიანებს კარგი გაზეთის გარეშე, იმ გაზეთის გარეშე, რომელსაც შეუძლია ათიათასჯერ გაითხოვს ვინ ხარ შენ, საიდან მიდიხარ, სად ხარ, სად მიდიხარ, რას უტოვებ შენ მამულს, ქვეყანას, მოყვასს შენსას?

რა უნდა ქნას გონიერმა ეროვნულმა ხელისუფალმა პირში მოქმედი მამაცი გაზეთის გარეშე თუ ჭეშმარიტად შვილია თავისი ხალხისა, ქრისტეს მიერ უყვარს ქვეყანა და სახელმწიფო ქართული?

უამრავ სხვასავით მეც მიყვარს „ილორი“ იმისთვის, რომ მას ამ მარადიულ კითხვებზე აქვს ცალსახა პასუხი, თანაც თავისებური სიყვარულით, სიმწვავეთ, ზომიერებით, გამორჩეული გონიერებით.

მე კვირაში სამჯერ მარწმუნებთ თქვენ, გაზეთის შემქმნელებო და სულსისამდგმელებო, რომ არც ისე შორსაა ის დროც, როცა ხალხი, რიგითი მოკვდავი ქართველი იტყვის: „შეტად ძნელია იყო ქართველი, ობოლი ერის შვილი, და მაინც, ასე ხის ბედნიერებაა ქართველად გაჩენა

და ყოფნა პლანეტა დედამიწაზე, ისეთად ცხოვრება, ისეთად დარჩენა, ერთმანეთისთვის ისე ღამაზად თავის გაწირვა, მშობლიური სამანების ისე დაცვა რომ მოვლა, როგორც ეს დღემდე მოახერხეს ჩვენმა წინაპრებმა“.

სატკივრის მეტი რა გვაქვს, მაგრამ გაუძღვებთ, უარესიც ყოფილა, გამოსწვებთ თქვენ;

იმასიც ვგაიმედებთ, რომ დადგება დრო, როცა ჩვენი ხელისუფალი იტყვას თომას ჯეფერსონამდე ამაღლდებიან და იტყვიან: „მე რომ დავედგე არჩევანის წინაშე-მყავდეს ხელისუფლება გაზეთის გარეშე, ან მქონდეს გაზეთი ხელისუფლების გარეშე, მე მეორეს ავირჩევდი“.

და მაშინ გამოვლიანდება ქვეყანა, მართალი სიტყვა და საღი აზრი დაისადგურებს ყველგან და ყველაფერში, იძლევა სიცრუე, დასრულდება ქიში და ხარბობა, დაშთება უამი ნგრევისა, დადგება უამი შენებისა.

მადლობა რომ ხართ, მადლობა ყველაფრისთვის!

და კიდევ მადლობა იშვილი ინტელექტუალობისთვის, სწირად ბნელში ნათელის შემოტანისთვის; სიტყვა მაფია საზიზღარი რამ მეგონა მეც შორიდან, „ილორის“ ერთ-ერთმა ნომერმა კი თოვლი ამეხილა: „სიკვდილი საფრანგეთს, ამისისუნთი იტალია“. აი, რა ყოფილა თურმე მეცამეტე საუკუნის დამონებული იტალიის ეროვნული იდეალი სიცილიურ ენაზე.

რამდენი რამ გვაქვს ჩვენ, ყველას ერთად და ცალ-ცალკე საფიქრალი, შესაცვლელი, დასადგენი, გასაკეთებელი, უკანმოსაბრუნებელი დაიწყებული და მიტოვებული!

მე კარგად მესმის თქვენი სხვა რამეც, წმინდა გიორგის ილორის ზარს დაარსებთ ხანდახან, რამეთუ ძველთაგან მოვდგამთ ზნედ და წესად: ზარი არასოდეს რეკავს სხვებისთვის, ის ყოველთვის რეკავს ჩემთვის, შენთვის, ყველასთვის!

მჯერა, მწამს „ილორის“ მორიგი გამარჯვებების.

უღრმესი პატივისცემით,  
**რაფიელ გელანტია**



# ამის დაპარობის, ან დაზიანების უფლება არც რუსსა აქვს და არც მართლმადიდებლებს!

(ნაწევრები ვასილ ველიცკოს წიგნიდან "კავკასია")

1904 წელს, ამ წიგნის ავტორის ვასილ ველიცკოს გარდაცვალების შემდეგ, მისი მოსწავლეების მიერ „კავკასიის“ წიგნად გამოცემა ძალზე ააფორიაქა მთელი პლანეტის სომხური მოსახლეობა. ინგლისში მცხოვრებმა სომეხმა დიდგვარმა გულბეკიანმა იმ დროისათვის ზღაპრული თანხა – ხუთი მილიონი ფუნტი სტერლინგი (დღევანდელი კურსით, დაახლოებით სამასი მილიონი დოლარი) – გადაიხადა, რათა ამ წიგნის მთელი ტირაჟი გაყიდვიდან ამოეღოთ და გაენადგურებინათ, მაგრამ, როგორც ხედავთ, ვერაფერს გახდა. თუმცა, სომეხებმა ნაწილობრივ მაინც მიაღწიეს საწადელს, რადგან წინამდებარე წიგნი გახლავთ ვასილ ველიცკოს მილიონი ნაშრომის პირველი ტომი, მეორე ტომი კი, საერთოდ აღარ გამოსულა და, ჩვენი დიდი ძიების მიუხედავად, მაინც ვერ მოვახერხეთ მისი პოვნა. როგორც ჩანს, ამ ტომის ხელში ჩაგდება და განადგურება გარკვეული საზღაურის ფასად მაინც მოახერხეს სომეხებმა.

პანისლამიზმი შეიძლება განვითარდეს მხოლოდ სახალხო სიღუბნისა და უკმაყოფილების ბაზაზე. მისი ზემოქმედება იმ ზომამდე არ განვითარებულა, როგორც ამას კავკასიელ ხელისუფალთა დასაფრთხობად ბერძენი სომეხი ინტრიგანები და მათი მხახურები, მაგრამ, ეკვსგარეშეა, რომ პანისლამიზმის ანტიდოზი ნამდვილად დაიარება ამიერკავკასიაში, სადაც უკანასკნელ პერიოდში აშკარად შეინიშნება სუნიტებისა და შიიტების ფრიადი უზუნდობლივი ურთიერთდაახლოება. ამგვარი დაახლოება ხდება მხოლოდ ცხოვრების არახელსაყრელი პირობების გააღვივების შემდეგ, როცა ჩაგრული ელემენტები ცდილობენ დაივიწყონ ძველი უთანხმოებები და უსიამოვნებანი და გაერთიანდნენ. მაგრამ, არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ პანისლამიზმი არსებობს იქ, როგორც ქიშკა, რადგან, ვითომ რასობრივი განსხვავება უფრო ძლიერია, ვიდრე ერთ-მორწმუნეობა. აღმოსავლეთის ისტორია ამის თავადები გახლავთ.

**16. დაღესტნელი მთიელები**  
შედარებით და მნიშვნელოვნად რთულია დაღესტნის საკითხი. იგი იმდენად რთულია, რომ მასზე დაწერილებითი საუბრის უფლება მხოლოდ საქმეში ღრმად ჩახედულ სპეციალისტს აქვს. სხვადასხვა ენაზე მეტყველება, ცალკეულ თემთა გათიშულობა, მიურიდიზმის მისტიკური საიდუმლოებები, მთიელ პატრიარქალურ რესპუბლიკათა მრავალსაუკუნოვანი წარსული, რომელსაც არ გააჩნია ისეთი ელემენტარული სახელმწიფოებრიობაც კი, როგორც იქნებოდა ამიერკავკასიის სახანო – ყველა ეს საწყისი საკმაო სიმძიმეებს შობდა წარსულში, რუსეთის ხელისუფლებისათვის და, ამ მხრივ, მომავალსაც არ იქნება გამონაკლისი.  
დაღესტნის მოსახლეობის, შედარებით არცთუ შორეულ წარსულში ხანგრძლივი, დროდადრო არც თუ წარუმატებელი ბრძოლა რუსებთან, დაიწყო იქნებოდა ამიერკავკასიის სახანო – ყველა ეს საწყისი საკმაო სიმძიმეებს შობდა წარსულში, რუსეთის ხელისუფლებისათვის და, ამ მხრივ, მომავალსაც არ იქნება გამონაკლისი.  
დაღესტნის მოსახლეობის, შედარებით არცთუ შორეულ წარსულში ხანგრძლივი, დროდადრო არც თუ წარუმატებელი ბრძოლა რუსებთან, დაიწყო იქნებოდა ამიერკავკასიის სახანო – ყველა ეს საწყისი საკმაო სიმძიმეებს შობდა წარსულში, რუსეთის ხელისუფლებისათვის და, ამ მხრივ, მომავალსაც არ იქნება გამონაკლისი.



რომ იგი გამოყენებული იქნა ადგილობრივი ადამიანებისა და მათი ურთიერთობების დრამა ცოდნით...

ეს სიტყვები მოიცავენ დაღესტნის მართვის გონივრული სისტემის მთელ საიდუმლოებას. საერთოდ, კავკასიაში, განსაკუთრებით კი დაღესტანში, ადმინისტრატორი უნდა იყოს არა გამთანაბრებელი თეორიის იდეოლოგი განყენებულ ადამიანებზე, არამედ ნატურალისტი, ამ სიტყვის ფართო გაგებით, ადგილობრივი ყოფის მოვლენათა მცოდნე, მისი რეალური დამნაზი. მორალის ნორმაც ამასთან შესაბამისობაში უნდა იყოს მოყვანილი. ასე მაგალითად, ტრადიციის შესაბამისად, სისხლის აღების მიზინი ჩადენილი მკვლელობა უნდა შეფასდეს სხვაგვარად, ვიდრე უბრალოდ ჩადენილი დანაშაული; ხალხის თვალსაზრისი ნელი ტემპებით იცვლება, ხოლო სასურველი ცვლილებები ხელეწიფებათ მხოლოდ იმ მმართველებს, რომლებმაც ადგილობრივ მაცხოვრებლებში ღირსეული ავტორიტეტი მოიპოვეს და მისადაგებულნი არიან მათ შეხედულებებთან.

ეს ყველაფერი, ერთის შეხედვით, თითქოს თავისთავადია, მაგრამ მაინც მიწვევს ამის გამოკრებას, იმიტომ, რომ ჩვენი ბიუროკრატია, განსაკუთრებით კი იმპერიის განაპირა მხარეებისა, დაკვირვებული შემგუბლობის უნარსა მოკლებული, არ გააჩნიათ ტრადიციებისადმი რეალური დამოკიდებულება და ისტორიულ გამოცდილებას არ აქცევენ დაღადებს, რომ დაღესტნელებს სხვადასხვა სომეხები და თვით ქართველებიც კი, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ზარალდებოდნენ ლეკიანობისაგან. ნათელია, რომ დაღესტანში ქართველების და სომეხების მაღალ თანამდებობებზე დანიშნვამ ძალზე გააღვივანა ადგილობრივი მოსახლეობა. აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ რუსული სახელმწიფოებრივი საქმე რუსების ხელით უნდა გაკეთდეს, ადგილობრივი მოსახლეობის, საუკეთესო მკვიდრი ადამიანების ხელშეწყობით: საქართველოში – ქართველებით, ყარაბაღში – აზერბაიჯანელებით, დაღესტანში კი მხოლოდ დაღესტნელებით.

ისეთი განსაკუთრებული ნიჭის მქონე ადამიანმა, როგორც ვახლდათ თავადი ნ. ხ. ჭავჭავაძე, დაეუშვათ, მოახერხა მოხვედრა მთელი დაღესტანის ნდობა და პატივისცემა, რასაც ვერ ვიტყვით მის უამრავ ქვეშემდროზე, რომ

ლებმაც დაღესტნელი ხალხისადმი თავისი არაკორექტული დამოკიდებულებით დაამუხრუჭეს მათი დაახლოება რუსეთის სახელმწიფოებრივ საწყისებთან.  
**საჭიროა რასობრივი ფსიქოლოგიის ცოდნა.** აღმოსავლეთში, საერთოდ, მხოლოდ ძალას ემორჩილებიან, მაგრამ, ზოგჯერ გაკრთება ხოლმე სხვა ელფერიც, რომლის იგნორირებას იმ შეცდომამდე მიყვავართ, რაც ხელსაყრელი არ არის სახელმწიფოსათვის და მძიმე უსამართლობად ექცევა ხოლმე ხალხს. სავსებით გასაგებია, მაგალითად ის, რომ სომეხი, რომლის წინაპრები საუკუნეთა განმავლობაში უცხოელი დესპოტების ყურმორიდი ყმები იყვნენ, მოითხოვს მკაცრ, სუსხიან კანონს, ყოველგვარი შეღავათისა და კომპრომისი გარეშე; როგორც კი ამ უკანასკნელს დაეუშვებო, სომეხი ქედმაღლურად მბრძანებლობს იმ მონასავით, რომელმაც მოატყუა ან სძლია თავის ბატონს: მას ისტორიულად ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებია თავისუფალი ადამიანის ელემენტი, მისი ფსოქო-ფიზიკური ორგანიზმი ჯერ კიდევ არ არის მზად საიმისოდ, რომ აღიქვას ზნეობრივი თანაცხოვრების უმაღლესი საწყისები. იგი ადამიანში უნდა აღიზარდოს პატიოსანი სიმკაცრით, აუცილებლად სიმკაცრით, იმიტომ, რომ იგი ადამიანისთვის გასაგებია. სულ სხვა საქმეა დაღესტანი. მისთვის, რა თქმა უნდა, ზედმეტი არ გახლავთ რუსული ძალის ცოდნა, რომელმაც იარაღი გამოგლიჯა ხელიდან და ბოლო მოუღო მის ველურ თავისუფლებას. მაგრამ, ამ თავისუფლებით გამოიზარდა ძლიერი და ზნეობრივი პიროვნება, რომელიც უფლებამოსილია მოითხოვოს ღირსების აღიარება და მშვიდობიანი მოქმედება ყოველად უაზრო, ძალზე ხშირად მიღებული სასტიკი ზომების ნაცვლად.

განათლებაზე ზრუნვა, ასევე ზრუნვა კულტარული რეწვის განვითარებასა და მხატვრული დონის ამაღლებაზე – ყველაფერი ეს გასაგებია დაღესტნელისათვის და იგი ამას სათანადოდ დაფასებდა: ზოგიერთი სხვა მთიელისაგან განსხვავებით იგი არა მხოლოდ მტაცებელი ფრინველია, როგორაც მას წარმოსახავენ ზედაპირული დამკვირვებლები, არამედ კულტურისადმი განსაკუთრებული მიდრეკილების მქონე ადამიანიც. მხედველობაში უნდა მივიღოთ ეკონომიკური პირობებიც, მოსახლეობა იზრდება, დაღესტანს კი პური ადრეც არ ჰყოფნიდა; მოსახლეობის მსყიდველუნარიანობა რომ შევინარჩუნოთ, უნდა შევინარჩუნოთ მეცხოველეობა, ე.ი. უზრუნველყოთ იგი კავკასიის სტეპეში ზამთრის საძოვრებით. როცა შიმშილი მწყვევ ფორმებს იღებს, იგი სიკეთისკენ არავის უბიძგებს: მშვიდობიანი ობივიტელი, ნისკარტისა და ბრჭყალების გარეშე, გადაიქცევა მათხოვრად ან ქურდბაცაცად, მეომრული სულისკვეთების მქონე მთიელი – ყაჩაღად ან მეამბოხედ. “მთიერი ბუნტი” შეიძლება მიურიდიზმის მეტად მტკივნეულ განვითარებად იქცეს, რასაც მოჰყვება რელიგიური ან ტომობრივი აგრესიული გათიშულობის სხვადასხვა ფორ-

მეტი.  
არასაკმარისად გააზრებული და კეთილსინდისიერი მართვის უქონლობის გამო დაღესტანი კიდევ დიდხანს იქნება პოლიტიკურად ერთ-ერთი საშიში ადგილი კავკასიაში; მეორეს მხრივ, საკუთარი ბეღელის უქონლობის გამო, იგი ეკონომიკურადაც და პოლიტიკურადაც ყოველთვის რუსული ხელისუფლების ხელში დარჩება, რადგან პურის შეტანის გზა იქ ძალზე ცოტაა – სულ ორი-სამი. მაგრამ, ეს... უკიდურესი ზომაა, რომლის აუცილებლობამდე ჩვენ არ უნდა დავიდეთ. დაღესტნელებს უამრავი მონაცემი აქვთ, რაც მათ საშუალებას აძლევს ნორმალურად შეუერთდნენ რუსულ საქმეს, რუსეთის ისტორია კი აღსავსეა დადასტურებული ცნობებით იმის თაობაზე, რომ მისი ტერიტორიული ზრდა არ გახლდათ მხოლოდ რუსული ძალის ზემოქმედების შედეგი, არამედ ეფუძნებოდა შორსმჭვრეტელო სიყვარულის სიმძლავრეს.

დაღესტნელებს და სხვა მუსულმან მთიელებს შორის ის განსხვავებაა, რომ ეს უკანასკნელები მეტწილად კულტურის და პურსაც ხელსაყრელ დგანან და ურთიერად იყოფიან წარმომავლობით, ადათ-წესით, სულიერი და სოციალური წყობით. ჩვენი კახაკები და თვით კავკასიელებიც ამ ტომებს სხვადასხვა ცნებებსა და მეტსახელებს უკავშირებენ, რომელიც პრაქტიკის მიერაა გამოუმუშავებული: ყაზარდოელი – რაინდია, ინგუში – ქურდი, ჩეჩენი – პოლიტიკურად და ზნეობრივად არასაიმედო, ისევე, როგორც ოსი. ამ წიგნის ფორმატი არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ყველა ტომის დაწვრილებითი დახასიათება წარმოვიდგინოთ. საქმარისა და ეჭვრდეთ რამდენიმე განხილავთ.

ჯერ ერთი, ყველა ეს მთიელი (მათ შორის მთიელი-ქრისტიანებიც – სვანები, ფშაველები, თუშები, ხევსურები) ბუნებას არიან დამორჩილებულები და მასთან მჭიდრო კავშირში იმყოფებიან. ისინი, ძირითადად წარმართები არიან, ფორმალურად რომელ რელიგიასაც არ უნდა აკეთებდნენ თავს. სავარაუდოდ საწყისი და ადათ-წესები მათი ცხოვრების ნორმაა. ჩვენს, ევროპოიდებულ ცივილიზაციასთან მათ არავითარი კავშირი არ გააჩნიათ და არც შეიძლება გააჩნდეთ, რადგან იგი თავისი ძირითადი საწყისებით ეწინააღმდეგება მათ ბუნებას, შინაგანსა თუ გარეგანს. სხვა კულტურებთან შეჯახებისას ისინი ან შორეულ მთებში მიმალებიან ხოლმე, ან სახეს დაკარგავენ, ან საერთოდ დაიღუპებიან. არ შეიძლება არ დავიზიანოთ, რომ ქალაქში ჩამოსული და “ცივილიზაციას” ნაზიარები მთიელი, რომელმაც რუსული ისწავლა, ჩვეულებრივ არასაიმედო, საძაგელი ადამიანია, თუ მთლიანად არ გარუსდა, როგორც ბევრი ოსი. თავისებურების მსყიდველუნარიანობა რომ შევინარჩუნოთ, უნდა შევინარჩუნოთ მეცხოველეობა, ე.ი. უზრუნველყოთ იგი კავკასიის სტეპეში ზამთრის საძოვრებით. როცა შიმშილი მწყვევ ფორმებს იღებს, იგი სიკეთისკენ არავის უბიძგებს: მშვიდობიანი ობივიტელი, ნისკარტისა და ბრჭყალების გარეშე, გადაიქცევა მათხოვრად ან ქურდბაცაცად, მეომრული სულისკვეთების მქონე მთიელი – ყაჩაღად ან მეამბოხედ. “მთიერი ბუნტი” შეიძლება მიურიდიზმის მეტად მტკივნეულ განვითარებად იქცეს, რასაც მოჰყვება რელიგიური ან ტომობრივი აგრესიული გათიშულობის სხვადასხვა ფორ-

# ანაკლია და სამბრელო სსპ კურორტები

ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომ ამ ადგილმდებარეობის სახელწოდება "ანაკლია" წარმოდგება სიტყვიდან "ანაკლია", რაც მეგრულ დიალექტზე ჩანაკივლებ ადგილს ნიშნავს. მრავალი ჭირი გადახდომია თავს ზღვის ამ ულამაზეს სანაპიროს. ამ ადგილს შუა საუკუნეებში ხელმწიფე და სულმოკლე ოსმალი მოხალადეების მიერ გატაცებული მრავალი ქართველი ბავშვისათვის გაუფორლები ნადვლიანად თვალი, რომელიც შემდეგ თურქ მონათვაჭრებს სტამბოლისა და კაიროს ბაზარზე მიჰყავდათ გასაყიდად. სწორედ ანაკლიაში დაიტირებდა ხოლმე უკანასკნელად, კვილით, მკერდად დახრილი დედა ოსმალების მიერ გატაცებული, მისი ოჯახისა და საქართველოსათვის სამუდამოდ დაკარგულ პირშოს, და სწორედ დედის მოთქმა დაერქვა სახელად ამ საბედისწერო ადგილს.

შესანიშნავი ლექსი უძღვნა ერის მოუშუშებელ იარაღ ქვეულ ამ ტრაგედიას ცნობილმა ქართველმა პოეტმა არჩილ ფირცხალავამ:

**სი სოულ ბატა, დედის შეკვივლება,  
ზღვამ ჩაიხვია ტალღის დგაფუნით,  
სი სოულ ბატა, ზღვა აბობოქრდა,  
როგორც ჭაბუკი გემზე დაბმული.  
ქართველია თუ მონღოლია,  
მამულში სიაგაცვდ ამოჭრილი,  
დედას ვიტყვებდი ჯოდორია,  
მკლავი რომ არ მქონდეს გაყოლილი!**

წარსულს ჩაბარდა ის უმძიმესი დღეები, ისტორიის ქარბორბალამ გადახვეტა ოსმალი მოხალადეები მრავალტანჯული ქართული მიწიდან და სამეგრელომ შეგები ამოისუნთქა...

გამშვნიერდა და ღამის ედემის ბადად იქცა ერთ დროს დაჯობებული, მალარიის კერად ქვეული კოლხეთის დაბლობი...

ანაკლია დღეს ითვლება საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე ევექტურ შავი ზღვისპირა კურორტად. ის ზუგდიდიდან 30 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს მდ. ენგურის შესართავთან, მის მარცხენა ნაპირზე. აქ ზღვიდან მუდამ ქრის ნიავე, რომელიც არბილებს სიცხეს. ანაკლიაში 10-12 კილომეტრის სიგრძის ფართო (50-80 მ) პლაჟია, რომლის ქვიშები ბავშვთა სახსრების დაავადებების უმეტესად სამკურნალო საშუალებაა. ნაპირიდან 100-150 მეტრის მანძილზე ზღვის სიღრმე არ აღემატება 1-1,5 მეტრს. ანაკლიის, როგორც სახლავო კურორტის აქტუალობა კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც ზუგდიდთან დაბაკავშირებულ გზაზე დაიგო ასფალტი, დაიდგა განათების ბოძები და კეთილმოეწყო. ამის წყალობით, ოცდაათი კილომეტრიან გზას, რომლის ავტომანქანით გადაადგილაც უგზობის პირობებში თითქმის ორი საათზე მეტი დრო სჭირდებოდა, ახლა სამგზავრო ავტობუსებიც კი ნახევარ საათში ფარავენ. ანაკლიის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც აქ დამთავრდება ვერსტანდარტებით აღჭურვილი თანამედროვე საზღვაო პორტის მშენებლობა, რომელიც უკვე მიმდინარეობს.

სამეგრელოში კიდევ ბევრი, თავისი თვისებებით მნიშვნელოვანი კურორტია. ასეთებია: სკური, ლუგელა, ლეზარდე, და სხვა. ბიას ბალნეოლოგიური კურორტი პატარა ქალაქ ხობიდან 6 კილომეტრში მდებარეობს. აქ მინერალური წყლის ორი წყაროა. ბიას წყლის აბაზანები სახსრების ქრონიკული და პერიფერიული ნერვიული სისტემის სამკურნალოდ გამოიყენება. ლუგელა, მდებარეობს ჩხოროწყის მიდამოებში, მდ. ხობისწყლის ხეობის ზემოთ. მისი მინერალური წყალი კანის დაავადებების სამკურნალოდ გამოიყენება. წყლის დეპეტი 22.000 ლიტრამდეა. ლუგელას წყალი მიეკუთვნება ქლორ-კალციუმიანი წყლების კატეგორიას. ის სასარგებლო რაოდენობით შეიცავს ბრომს და დასაშვები რაოდენობით იოდს, მაგნიუმს, ნატრიუმს და სხვა ელემენტს. ლუგელას წყალს გააჩნია ისეთ დაავადებათა სამკურნალო თვისებები, როგორებიცაა ფილტვების, ლიმფური ჯირკვლების, ძვლების,

სახსრების, აგრეთვე სეროზული გარსების ტუბერკულოზი (ექსუდაციური და შშრალი პლევრიტი, პოლისეროტიზმი), ბრონქული ასთმა, თირკმლების ანთება და ა.შ. ამ წყალს ოდითგანვე იყენებდნენ უმთავრესად კანის დაავადებათა სამკურნალოდ. ლეზარდე მალაქთიანი კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტია კურსუს თემში, ქალაქ მარტვილიდან 55 კილომეტრში, ზღვის დონიდან საშუალოდ 1.700 მეტრის სიმაღლეზე მდინარე ტეხურის მარჯვენა შენაკადის, მდ. ლეზარდის გაღმა-გამოღმა. ლეზარდე და მის გარშემო მდებარე მთები დაფარულია ასწლოვანი წიწვიანი ტყეებით.

კურორტს ჩრდილოეთის ცივი ჰაერის მასებისგან მთაგრებილი იცავენ. ზღვის მხრიდან კი აქ იჭრება თბილი ჰაერის მასები. გარდა მაღალმთიანი ჰავისა, რომელიც მკურნალობენ სახუნთქ გზებს, კურორტ ლეზარდეს მალაქ სამკურნალო თვისებებს მატებს მინერალური წყალი, რომლის დეპეტი დღე-ღამეში 4.000 ლიტრია. ლეზარდეს მინერალური წყალი ევექტურია მთრადი სისხლნაკლებობის, კუჭ-ნაწლავის, საშარდე მილის და ნივთიერებათა ცვლის დაავადებათა მკურნალობისას. მენჯი ქალაქ სენაკთან, მდ. ცივის მარცხენა ნაპირზე მდებარე ბალნეოლოგიური კურორტია. თვით სიტყვა მენჯი-ც მეგრულად მინერალურ წყალს ნიშნავს. მენჯის წყლის აბაზანები სახსრების, ძვლების, კუნთების, აგრეთვე გულ-სისხლძარღვთა და პერიფერიული ნერვიული სისტემის დაავადებების, აგრეთვე გინეკოლოგიური ანთებითი და კანის ზოგიერთი დაავადების სამკურნალო თვისებებით ხასიათდება.

სქური ქალაქ წაღენჯიხიდან 18 კილომეტრითაა დაშორებული. ის ზღვის დონიდან 450-500 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს ამავე სახელწოდების მდინარის საპირზე. სქურის მინერალური წყალი, რომლის დეპეტი დღე-ღამეში 300.000 ლიტრს შეადგენს გამოიყენება, როგორც სახმელად ისე სააბაზანოდ. ის უმეტესად საშუალებას აძლევს წვეთის მეთოდის მატებისას, დადებით შედეგებს იძლევა კუჭ-ნაწლავის ქრონიკული დაავადებებისა და საშარდე მილის დაავადებების მკურნალობისას. სქურის მინერალური წყლის აბაზანები კი სახსრების, აგრეთვე კუნთებისა და პერიფერიული ნერვიული სისტემის დაავადებათა მკურნალობის შესანიშნავი საშუალებაა.

სამეგრელოს კურორტებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ცაიშის ბალნეოლოგიურ კურორტს, რომელიც ევექტუბება ქართველი სწავლულის იონა მუნარგის მიერ აღმოჩენილ მადლიან, ადგილობრივი ბუნების მიერ ბოძებულ, ღამის სასწაულმოქმედ სამკურნალო წყალს.

ცაიში ზუგდიდიდან 10 კილომეტრზე, მდ. ჯუმის ორივე ნაპირზე მდებარეობს. აქ არსებული ორი ტიპის მინერალური წყლებიდან ერთი ძველთაგანვე გამოიყენებოდა სამკურნალო აბაზანების მისაღებად. მეორე, ახალიმოკვლეული კი წარმოადგენს პიკოტერმულ (ხეცხე) წყალს (82,5). გარდა აღნიშნული წყაროებისა ცაიშში, ურთის მთის კალთებზე არის აგრეთვე რამოდენიმე სხვა მინერალური წყალიც.

კ.წ. „სოლიანი წყალი“ „კუჭის წყალი“ და ცივი აბანი, სადაც ზაფხულში ტემპერატურა ცელსიუსით +5, +6 გრადუსია. ცაიშის ძველი წყლის მიდამოებში, თითქმის ერთ პექტარ ფართობზე 2-3 მეტრის სიღრმეზე არის კუპრისფერი მიწის ფენა, რომელსაც უძველესი დროიდან იყენებდნენ, როგორც სამკურნალო ტალახს. ცაიშის ცხელი წყლის აბაზანების მიღების შემდეგ ავადმყოფებს ეხსნებათ თავბრუსხვევა, კოშმინი; უმცირესობათ ან სულაც უჭრებათ უფლის ფრადი, ტკივლები გულის არეში, უმცირესობათ ანკარებულ პულსს, უუმჯობესდებთ თვითშეგრძნება, გუნება-განწყობა, ეწყებათ ნორმალური, მშვიდი ძილი, შესაძნეველ უუმჯობესდებთ შრომისუნარიანობა. ამ აბაზანების მიღების შემდეგ ავადმყოფთა 40,6 პროცენტის მდგომარეობა მკვეთრად უუმჯობესდება. პროცენტისა საშუალოდ უუმჯობესდება.

ქალაქ ფოთის მიდამოებში, იქ სადაც მი-

თის მიხედვით გადმოსხდნენ არგონავტები, არის კურორტი მალთაყვა, რომლის ქვიშაიანი პლიაჟები კეთილმოქმედებენ ბავშვისა და მოზარდის ორგანიზმზე, ხელს უწყობენ სისხლის შემადგენლობის გამდიდრებას. ეს პლიაჟები მიზანშეწონილია ლიმფადენიტის, ბრონქიტის, ძვლისა და სახსრების ტუბერკულოზის, შშრალი პლევრიტის, რაქიტის და სხვა დაავადებათა მკურნალობისას. ამავე ქალაქის მახლობლად მდებარეობს შავი ზღვისპირა კურორტი ყულევი, სადაც ბურღილიდან ამოღის ცხელი მინერალური წყალი, რომლის დღე-ღამეში დეპეტი 650.000 ლიტრია. ამ წყლის აბაზანები გამოიყენება გულ-სისხლძარღვთა, გინეკოლოგიური ანთებითი დაავადებების და სხვა დაავადებათა მკურნალობისას. გარდა ზემოთ აღწერილი კურორტებისა სამეგრელოში არაერთი ჯერ აუთვისებული სამკურნალო ადგილიცაა. მაგალითად კურორტ ლეზარდეს მიდამოებში მდებარე სამკურნალო-პროფილაქტიკური ხასიათის კლიმატურ-ბანეოლოგიური ობიექტები – დვირისთავი და კემლარ-კესა, აგრეთვე ჩეგოლას მინერალური წყლების 10-ზე მეტი წყარო, ნოქალაქების მინერალური წყლები, რომელსაც უძველესი დროიდან იყენებდნენ სახსრების, პერიფერიული ნერვებისა და კუნთების დაავადებათა სამკურნალოდ.

**სამეგრელოს კარსტული მღვიმეები.** სპელეოტურიზმის მოყვარულთ უშუალოდ გაუჩნდათ სურვილი გაეცნონ ცნობებს კარსტული მღვიმეების შესახებ, რომლებითაც ის ერთი უმდიდრესი კუთხეა საქართველოსი. აქ 70-ზე მეტი კარსტული მღვიმე, უფსკრული და ჭაა განთავსებული. მღვიმეთა მნიშვნელოვანი ნაწილი ულამაზესი სტალაქტიტებითა და სტალაგმიტებით, მიწისქვეშა ტბებითა და ჩანჩქერებითაა დამშვენებული. ამათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია: დემიშ ბეჩა – მდინარე მოროჟას მარცხენა კლდოვან ნაპირზე, მღვიმის ბოლოში პატარა ტბა; ყვირაშ ბეჩა – მღვიმე სოფელ ჩქვალერის მიდამოებში, მდინარე მოროჟას აუზში; ფართო ინჭა – უფსკრული ყვირას მთის მასივში, სოფელ ჩქვალერთან, მდინარე მოროჟას ხეობაში, რომლის ფსკერზე იწყება ულამაზესი დარბაზები, რომელთაგან ბოლოში არის წარმტაცი სტალაქტიტები და კალციტის ნაღვენთები; ინჭრაშ ბეჩა – მცირე ზომის (58 მეტრი) მღვიმე სოფ. მიდამოებში, ჩქვალერის მდ. მოროჟას ხეობაში, რომლის დარბაზში ერთგან წყალი გადმოჰქუხს; ქოშ ბეჩა – 170 მეტრის სიღრმის სოფ. მუხურის მი-

დამოებში (ჩხოროწყუ). მდინარე ხობისწყლის მარცხენა მხარეს. შეკრიანიშ ბეჩა – 70 მეტრის ჯამური სიგრძის მღვიმე, რომელშიც ექვსი დარბაზია მდებარეობს წიფურის ქვაბულში, მდინარე ოჩხამურის ხეობაში; მოთენიშ ბეჩა – მღვიმე ტაბაკელას ქედის დასავლეთ ფერდობზე, მდინარე აბაშის მარჯვენა ნაპირზე, მღვიმის ჯამური სიგრძეა 75 მეტრი, არის სტალაქტიტები და სტალაგმიტები, გაედინება ნაკადული. ტობაშ ბეჩა – მღვიმე სოფ. ბაღის ჩრდილოეთით 5 კილომეტრში. სიგრძე 75 მ. მღვიმის ბოლოში, სადაც მისი სიმაღლე 30 მეტრს აღწევს არის 25 მეტრის სიმაღლის ულამაზესი ჩანჩქერი; ტობაშ მაჟია ბეჩა – მღვიმე იმავე სოფელ ბაღის ჩრდ. აღმოსავლეთით დაახლ. 4 კილომეტრში. მღვიმის ჯამური სიგრძე 1150 მეტრია. აქვს განშტოებებიც. არის ნეკისებური და ფორფიტისებური მომხიბველი სტალაქტიტები, სტალაგმიტები და მღვიმური სვეტები. აქ გაედინება მიწისქვეშა მდინარე. 850 მეტრის სიღრმეში არის 150 კვადრატული მეტრი ფართობის მქონე ტბა; ჟორწყუშ ბეჩა – ორსართულიანი მღვიმე ასხის მთის კალთაზე, რომლის ჯამური სიგრძე 248 მეტრია. მდებარეობს სოფ. ბაღიდან დაახლოებით 4 კილომეტრში, მდინარე ჟორწყუს ხეობაში. აქვს ღამაზი დარბაზები, რომლებიც დამშვენებულია სტალაქტიტებით, სტალაგმიტებით და დანალექი სვეტებით; წანხურიშ ბეჩა – მღვიმე წებელდის ქედის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს, მდინარე წანხურის ხეობაში, სოფელ ლესხულუხეს მიდამოებში. მღვიმეში, რომლის ჯამური სიგრძე 70 მეტრია, არის საოცრად ღამაზი თირკმლისებური ნაღვენთები და სტალაქტიტები. ბოლო დარბაზში სიფონური ტბაა. სამეგრელოში, განსაკუთრებით სოფ. ბაღის მიდამოებში არის კიდევ რამოდენიმე კარსტული მღვიმე.

ამრიგად, სამეგრელოს მხარის ბუნებრივი პირობები და რესურსები, ეჭვგარეშეა, გამოიყვევენ ტურიზმის სფეროში დასაქმებულ მსხვილ ინვესტირებას დიდ ინტერესს. ამ ზონაში ტურიზმისა და დასახველებელი ინდუსტრიის განვითარებას დიდად შეუწყობს ხელს ის გარემოებაც, რომ ზუგდიდში მიმდინარეობდა დიდი აეროპორტის მშენებლობა, რომელიც დროებით შეჩერებულია, მაგრამ აუცილებლად უნდა აღდგას და სათანადოდ აღჭურვის შემთხვევაში მაღალხარისხიანად მოემსახურება ადგილობრივ თუ საერთაშორისო რეისებს.

**ბატონებო!**  
გულითად გილოცავთ თქვენი გაზეთისათვის უარესად ღირსშესანიშნავ მოვლენას – მესამე ნომრის გამოცემის იუბილეს! უპირველესად, აღსანიშნავია ის, რომ გაზეთმა "ილორი" საკმაოდ მოკლე ხანში მოიპოვა საქართველოს ღირსებისა და მისი მდიდარი წარსულის დამცველის საპატიო სახელი.

ქართველ და უცხოელ მეცნიერთა მიერ ათწლეულების განმავლობაში ჩატარებული კვლევის შედეგები თვალნათლივ ამტკიცებენ, რომ მსოფლიო კულტურა და ცივილიზაცია სწორედ კოლხეთიდან იღებს სათავეს. ამის ერთდერთ დასტურად თუნდაც რამდენიმე ათასი წლის წინ შექმნილი "ფესტოსის დისკო" კმარა, რომელიც მხოლოდ კოლხურ ენაზე გამოშვდა და მიანიშნებს, რომ მსოფლიო კულტურის აკვანი პირველად სწორედ ჩვენს სამშობლოში დაიწყო. სამწუხაროა, რომ ამ ფასდაუდებელი შრომის შედეგებს ეჭვის ქვეშ აყენებენ არა მხოლოდ გადამთიელები, არამედ ქართულ ქურქქამოსხმული, ქართველ ერს შეკედლებული არამზადები, რომელთაც ჯერ კიდევ არ ეთმობათ თავიანთი არაქართული ეთნიკური წარმომავლობა და ცინიზმის შხამის გამოყენებით ცდილობენ მსოფლიოს მოწინავე მეცნიერთა მტკიცებულებების გაბიაბრუებას უძველესი კოლხური ცივილიზაციისა და კულტურის შეურყეველი საფუძვლების თაობაზე.

მათ სინდისზე იყოს!

თუმცა, როგორ შეიძლება სინდისზე ელაპარაკო იმ ადამიანებს, რომელთაც ელემენტალური წარმოდგენაც კი არ გააჩნიათ ამ უმაღლეს ხეობრივ კატეგორიაზე. იაპონელები ამბობენ: "გაუფრთხილდით წარსულს, მომავლის გულისათვის!"

სწორედ გაზეთი "ილორი" მეგულის იმ "გრადის" მცველად, რომელიც პირუთვნელად წარმოაჩენს ისტორიულ მასალებს, საკადრის პასუხს გასცემს უმდიდრესი ქართული კულტურისადმი ნიჰილისტურად განწყობილ ყველა არაკაცს, ობიექტურად და მიუკერძოებლად გააშუქებს ქართულ ეროვნულ ტრადიციებთან დაკავშირებულ საჭირობოტო საკითხებს და მომავალ თაობებში გააღვივებს იმ ტრადიციულ ეროვნულ-პატრიოტულ სულისკვეთებას, რამაც დღემდე მოიყვანა საქართველო და ქართველი ერი.

პატივისცემით,  
გია კვაშილავა, პროფესორი.



მრავალი მოსალოცი მივიღეთ გაზეთის მეასე ნომრის გამოცემასთან დაკავშირებით, მაგრამ ყველაზე მეტად გაგვახარა გაზეთ "ილორის" ნორჩი მეგობრების გამოსმაურებამ, რომლებმაც დააარსეს კლუბი ნორჩი "ილორელები".

გვივარდეს პოეზია – ბედნიერებაა, მაგრამ შენ თავად რომ სწერ ლექსებს – უბედნიერესი ადამიანი ხარ.

**ვერიკო ქადარია** ჯერ მხოლოდ ათი წლისაა, მაგრამ უკვე დააჭაშნიკა პოეზიის ღვთაებობა.

ცხოვრობს სენაკში, მომსწრეა სენაკის დაბოძების.

ბავშვის ფაქიზმა გულმა მტკივნეულად განიცადა მომხდარი და დანახული. მან ლექსში გადაიტანა განცდა, რომელსაც ვთავაზობთ "ილორის" მკითხველებს.

გუსურვით პატარა ვერიკოს პოეზიის მწვერვალთა დალაშქვრა.

**შიში ძირს!**

ბრძოლა ღირს!  
მიტაცება მიწა-წყლის,  
იმედით წინ!  
დაიხვევს ვინ?  
დამარცხდეს ის,  
ვინც იწვევს ზიზღს,  
ომები ძირს!

ქართველნო წინ!  
მშვიდობა ვის?  
ჩვენ გვინდა ის.

\* \* \*

ბევრი ქართველი ომში დაიჭრა, ბევრმა მიწა-წყალს შესწირა თავი, ბევრი ეცაღეთ, რა არ იღონეთ, არ დაგრჩენოდათ სახელი ავი, (მტერი მტერადვე გვირჩევა მუდამ) ჩვენ გავეუძლით, კიდევ გავეუძლებთ, უფალს მივენდეთ, მას ვანდეთ თავი.

\* \* \*

**წვიმა**

ველარ ვისხენებ ვერაფერს, უბრალოდ, ისე ვაწვიმდა, ვერ ვამბობ ახლა შენს სახელს, რომ დამისველდეს, არ მინდა. ის მოგონებებს მისველებს, თვალზე მადგება ცრემლები, ავიტან, ავიტან ყველაფერს, არა, ბედს აღარ ვნებდები. ამ დილით ზეცას ავხედვ, და ამეშალა განცდები, უეჭველია, იწვიმებს, ამ წვიმას ვერც მე ავცდები...



**გილოცავთ!**

მართლაც სასიხარულოა, რომ "ილორი" ცოცხლობს და უკვე მეასე ნომრით ახარებს მადლიერ მკითხველს.

უპირველესად, მადლობა მინდა მოვახსენო ამ შესანიშნავი გაზეთის მესვეურებს, რომელთაც პატივი დამდეს და გამოაქვეყნეს ჩემი მოკრძალებული ბიოგრაფია და ლექსები!

ჩემი თაობის წარმომადგენლებმა არ იცინ რაიმეს ანემება და მუდმივი ძიების პროცესში მყოფნი არც თუ იშვიათად იცვლიან იდეალებს. მაგრამ, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენი სიყვარული და გულთბილი დამოკიდებულება გაზეთ "ილორისადმი" ნამდვილად უცვლელია. მე და ჩემი მეგობრები ჩვენს წრეს "ილორელებს" ვუწოდებთ, რადგან ამ გაზეთის მართლაც ძალუქს ახალგაზრდების ერთ მუ-

შტად შეკვრა და მათში პატრიოტული სულისკვეთების გაღვივება.

კვლავაც გამარჯვების გზით გველოთ! პატივისცემით,

თქვენი გიო გობეჩია,  
15 წლის. ზუგდიდი.



გულოცავ ჩემი მცირედი "ნაღვაწით" ყველა ჩვენთაგანისათვის საყვარელ გაზეთ "ილორს" მეასე ნომრის გამოსვლის ღირ-შესანიშნავ თარიღს!

პატივისცემით,

**სალომე ჩხაპელია, 15 წლის.**

**„ამ ქვეყნად ერთი სანთელიც რომ ანათებდეს, წყვედადი დაძლეულია“**

მართლაც რომ – ამ ქვეყნად მხოლოდ ერთი სანთელიც რომ ანათებდეს, სატანის მიერ მოძალბებული წყვედადი დაძლეულია. ამ ერთადერთი სანთელი ბოროტებას აჯობებს სიკეთე, და არ იქნება ყველას სულში ის ავი ძალა, რასაც ეშმა ჰქვია. ამისათვის საჭიროა გვწამდეს ღმრთის, გვიყვარდეს ყველა, ვინც ჩვენს გარშემოა, გავეფრთხილდეთ და პატივი ვცეთ ერთმანეთს.

...თუმცა, მოვახერხებთ კი ჩვენ ოდესმე იმ ავი სულების განდევნას ჩვენი სხეულებიდან, რომლებიც ათა და ბაბადან ადამიანშია დამკვიდრებული?

პასუხი მარტივია, მაგრამ ამ ღვთაური ზეშთაგონების აღსრულება რთული. თუმცა, სიკეთის ქმნის დაუძალადე სურვილი-სა და მონღომების შემთხვევაში ადამიანს ღმრთის მიერ ზებუნებრივი ძალა ეძლევა, რაც მას ეხმარება სატანისაგან შექმნილი ყოველი დაბრკოლების გადალახვაში. ეჭვსვარეშეა, თითოეულ ჩვენთაგანს გვჭირდება საკუთარი სულიდან და სხეულიდან ბოროტი სულის განდევნა, ავის კეთილი შეცვლა. თუმცა, ღმრთის გარდა არავინ იცის რა და როგორ მოხდება. სწორედ ღმრთის წყალობა გახლავთ ის, რომ კაცობრობის დასაბამიდან მუდამ კეთილი იმარჯვებს ბოროტზე და ვიდრე მზე ანათებს ადამიანთა ცოდვით დამძიმებულ დედამიწას, უზენაესი ძალა ადამიანებს ობლად არ დააგდებს, და საბოლოოდ მაინც კეთილი იხეიმებს ბოროტზე გამარჯვებას!

მართალია ბოროტის დამარცხება არ გახლავთ იოლი საქმე, მაგრამ ყოველგვარ უკეთურსა და უწმინდურებასთან წინააღმდეგ დაუნდობელ ბრძოლაში ადამიანს ღმერთი მიუძღვის წინ და სწორედ ეს გვიწერავს გარდაუვალი გამარჯვების იმედს!

**„ქალი“**

„ქალი“ – რამდენი რამეა ამ სიტყვაში ნაქსოვილი.

„ქალი“ – ლამაზი, „ქალი“ – ტანადი, „ქალი“ – კალთამადლიერი დედა და კარგი მეგობარი შენს გვერდით.

„ქალი“ ძალზე თბილი, განცდამოძალე-ბული და სიყვარულით აღსავსე არსებაა, მაგრამ, ამავდროულად, ზოგიერთი მათგანი შეიძლება იყოს არც თუ კეთილგან-წყობილი სხვა ადამიანების მიმართ. სა-ბედნიეროდ, ძალზე ხშირად ქალი კეთი-ლია და მეგობრული სულისკვეთებით აღ-სავსეა, მაგრამ არიან ეშმაკი და ავი საქ-მის მოხერხებულად მკეთებელი ქალებიც. ქალს კი ნამდვილად არ უხდება სიბო-როტე და შურისმაძიებლობა. თუმცა, ყვე-ლაფერი მასზე და მის გარემოცვაზეა და-მოკიდებული, რადგან უმეტეს შემთხვევა-

ში, ქალს მასზე მოძალბებული სიძულვი-ლი და თავს დატყეხილი უსამართლობა აბოროტებს. ამიტომ, ქალს ყველანი ისე ფრთხილად უნდა მოეპყრონ, როგორც ბროლის სიფრიფანა ჭურჭელს, რათა იგი ხელში არ ჩაატყდეს ვინმეს და ჭრილო-ბა არ მიაყენოს...

„ქალს“ მამაკაცი უნდა „უფრთხილდეს“ და „გაუფრთხილდეს“. თუ კარგად დაუკ-ვირდებით, ამ ორ სიტყვას ურთიერთსა-პირისპირო მნიშვნელობა აქვს. ქალის ეში-ნოდეს და თან სათუთად მოეპყრას, უყ-ვარდეს და გვერდში ედგას.

ქალს ყველაფერი შეუძლია. შეუძლია ძალიან დიდი ბოროტებაც კი ჩაიდინოს, თუ ეს საჭიროებამ მოითხოვა; და სიყვარულის გამო კი ყველაფერზეა წამსვლელი. მას შეუძლია უყვარდეს და ეს სიყვარული კე-თილად გამოიყენოს ან პირიქით – ბო-როტადაც კი...

მამაკაცი თუ დაბრძოლა და მის საქ-ციელს ახსნა არ მოეძებნა, ამის მიზეზი აუ-ცილებლად ქალი იქნება. ქალი არ ბრმა-ვდება, პირიქით, იგი თავად აბრმავეებს მა-მაკაცს. როცა საქმე ქალს ეხება, მაშინ ყვე-ლაფერი მხოლოდ მისი გადასაწყვეტია. თუ ქალი რამეს ჩაიფიქრებს, აუცილებლად შეასრულებს, რადაც არ უნდა დაუჯდეს. იმას მიიღებს, რისი სურვილიც აქვს. შეუ-ძლია ყველა შეიყვაროს და ყველას შე-აყვაროს თავი, ან პირიქით, ყველა შეიძუ-ლოს და ყველას გადაემტკეროს.

„ქალი“ ძალიან მწარეა და ძალიან ტკბილიც. მამაკაცმა კი უნდა აირჩიოს, რო-მელი ფერმიწინი სჭირდება მასში და რო-გორც მოექცევა ქალს, იმის შესაბამის შე-დგეს მიიღებს – ან უკიდუგანო სიყვარულს, ან სიძილვილის ოკეანეს!

„ქალი“ – ვარდივით ლამაზია, მაგრამ ვარდსაც აქვს ეკალი და იგი მწარედ იხ-ვლიტება. გატყენს გულს და თვითონაც ეტკინება, მაგრამ იმდენად თავშეკავებულია, რომ ყოველნაირად ეცდება არ შეი-ჩნოს.

გაბოროტებული ქალი გველივით იგე-სლება. „ქალი“ მუდამ გამარჯვებულია. ქალთან შედარებით დიდი ფიზიკური ძა-ლის მიუხედავად მამაკაცი ქალს ვერა-ფრით აჯობებს, იმიტომ, რომ ქალი უფრო გამჭრიახი და რაციონალურია.

„მამაკაცი-ქალი“ შეიძლება იყოს ძა-ლიან ნაზი, მაგრამ იგი მაინც ძალიან უხე-ში არსებაა და ნორმალურ ადამიანში მხო-ლოდ ზიზღს იწვევს, ისევე, როგორც „ქალი-მამაკაცი“.

დედამიწაზე სქესთა ბალანსი ღმრთის მიერაა დადგენილი და ადამიანს მისი ხე-ლოვნურად შეცვლის მორალური და ხნეობრივი უფლება არ აქვს.

ამიტომ, გაუმარჯოს ქალს, როგორც სა-მეაროს სრულყოფილ მშვენიერებას და ვუ-სურვოთ, რომ მას მუდამ ჭეშმარიტი მა-მაკაცი ედგას გვერდით!



**მარიტა კობახიძე, 6 წლის**

მე წელს პირველად მივიღე სკოლა-ში და ბუნებრივია, გაზეთის წაკითხვა არ შემიძლია, მაგრამ მშობლებისაგან ვიცი, რომ "ილორი" ძალიან კარგი გაზეთია და იგი თავდადებით ემსახურება საქართვე-ლოსა და მის ხალხს.

ძალიან დიდი სურვილი მაქვს მალე გავეხვე დიდი, რათა მეც დავეწერო საინ-ტერესო სტატიები გაზეთ "ილორისათვის"!



**როლიკო ჯალაღანია, მოსწავლე**

მე "ილორს" ბაბუს გაზეთს ვეძახი, იმი-ტომ, რომ მას როლანდი ბაბუ და მისი მე-გობრები აკეთებენ. სკოლაში წავიდე რამ-დენიმე გაზეთი და ჩემს კლასელებს ძა-ლიან მოუწონათ. ჩვენ, მართალია, ჯერ პა-ტარები ვართ, მაგრამ უკვე ვიცით, რომ სამ-შობლოსა და ხალხის სიყვარული კარგია, ომი კი ცუდი, რადგან ომში ახალგაზრდები იღუპებიან. ამიტომ, ცუდია ის ხალხი, ვი-საც ომის დაწყება უყვართ. ვიცით, რომ ასეთი ცუდი ბიძიები არც გაზეთ "ილორს" უყვარს. ამიტომ გვინდა, რომ ეს გაზეთი ყოველთვის გამოდიოდეს და ბავშვები-სთვისაც ბეჭდავდეს სახალისო სტა-ტიებს...




**ნიკუზა კობახია, 6 წლის**

ჩვენ საბერძნეთში ვცხოვრობთ, ჩემი მა-მიკო ქართველია, ჩემი დედიკო კი ბერძე-ნი, მაგრამ საქართველოშია დაბადებული და გაზრდილი და ძალიან უყვარს სა-ქართველო. ჩვენ, იშვიათად, მაგრამ მაინც ჩამოგვდის გაზეთი "ილორი" და როცა ჩემი მშობლები მას წაკითხავენ, თვალე-ბი უცრემლიანდებთ ხოლმე, ალბათ იმი-ტომ, რომ მშობლიური ადგილები ენა-ტრებათ. მე სულ რამდენჯერმე ვარ სა-ქართველოში ნამყოფი, მაგრამ ძალიან მიყ-ვარს ეს ქვეყანა, რადგან იქ ძალიან კარ-გი და გულთბილი ბავშვები არიან.

გთხოვთ, ყოველთვის გამოგვიგზავნოთ გაზეთი "ილორი", რათა ჩვენმა ოჯახმა იცოდეს, თუ რა ხდება საქართველოში!



# სამეგრელო და სვანეთი



ამ წიგნის ავტორის, კორნელი ბოროზდინის სამსახურებრივი კარიერა კავკასიაში დაიწყო. იგი ჯერ მთავარმართებლის კანცელარიაში მუშაობდა, შემდეგ კი (1854 წელს) სამეგრელოს დედოფალთან მიაგლინეს მიწურ-მოწურის საწარმოებლად და მისი შედეგების აღმზრდელად. 1858 წელს დაინიშნა სენაკის ოლქის უფროსად, სადაც 1867 წლამდე იმსახურა. სწორედ აქ გაეცნო იგი სამეგრელოს მოსახლეობის ყოფას, რომელიც საინტერესოდ აღწერა თავის წიგნში. ბოროზდინის მოგონებებში საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული ოსმალეთის ჯარების მიერ სამეგრელოს აწიოკება, რომელიც შემდეგ რუსმა ჯარისკაცებმა აღაგმეს.

## კორნელი ბოროზდინი

– იცით, რა გითხრათ გენერალო, – უთქვამს მიხეილს, – რუსეთში მე მხოლოდ ორი კაცი შემხვედრია და ჩემს დღეში არ დამავიწყდება: ესენი იყვნენ იმპერატორი ნიკოლოზი და მიტროპოლიტი ფილარეტი. იმ ბაასის შემდეგ, რომელითაც გამაბედნიერა იმპერატორმა, დიდსხანს ვერ მოვსულიყავ გონს იმ აღტაცებისაგან, ჩემი არსება რომ მოიცვა. ჩემს გონებას თავის დღეში ვერ წარმოვადინა ის დიდებულება, რომელიც განსახიერებელი იყო მის პიროვნებაში; მის ოთახიდან რომ გამოვვლ, მე შევიგინე, რომ ჭია ვიყავ. ქვეწარმავალი იმ ადამიანის წინაშე და ჩემთვის მით უფრო სამიშობო იყო მისი შეგნება, რომ მასა და ჩემს შორის სდგას მთელი რიგი ადამიანებისა, რომელთაგანაც მე ხიხღისა და სიმულვილის მეტს არას ვგრძნობ. ამას შემდეგ ესენი უარესად შემძულდა. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ფილარეტმაც: რო მიუყრებდა, მის თვალების სიმდიერეს ვეღარ ვუძღვებდი, ასე მეგონა, ჩემს სულში ყველა დაფარულ საიდუმლოებას კითხულობს-მეთქი. ასეთი შეხედვის ძალა მხოლოდ ჭეშმარიტ მღვდელმთავრის განსაკუთრებული ნიჭია; ამ ადამიანის წინაშე ვიგრძენი, რომ ფრიალ უსუსური და საკნინე ვიყავი, მეტი არარა. დიახ, ასეთი ადამიანები, ჩემის აზრით, საუკუნობით იბადებიან. რუსეთი ბედნიერია და უნდა ამყობდეს კიდევცა, რომ ასეთი დიდი შეილები ჰყავდა.

კოლუბიკინის აზრით, მიხეილმა ეს თავისი შთაბეჭდილება მას გადასცა პირუთვნელ აღტაცებით და გულწრფელ ფელობით, ისე რომ ნათლად სჩანდა, რომ ამადლებული იდეალები მისთვის არც ისე უცხო ყოფილა, იმ დროს როცა მისი ცხოვრება ისე მოეწყო, რომ მთელისთვის არსებით ჩაეფლო გაშმაგებულ და გამძვინვარებულ ბრძოლაში მხოლოდ თავის პირად, სრულებით არამადლებულ ინტერესებისათვის. მისი სიმულვილი, მაგალითად, დავით დადიანის მიმართ, სრულებით მტაცებლური ხასიათისა იყო; მიხეილს დავით დადიანი არამც თუ მის დიდ მოცილედ მიაჩნდა ქონებრივ საკითხში, არამედ მტრად მიაჩნდა იგი აგრეთვე იმისთვისაც, რომ იგი, დავითი, ყოველ ეჭვის გარეშე ერთგული იყო რუსის მთავრობისა. “იცი, რა არის რუსი, – უთხრა ერთხელ მიხეილმა დავითს: – ტილია, ფეხზე რომ დაისვამ, უეჭველად თავზე აგაცოცდება; შენ კი ელაქუცები და სცდილობ აამოხოდზე ამ ტილს”. მიხეილი ხაზგასმული სიბოროტით ეკიდებოდა აგრეთვე დედოფალ ეკატერინეს, მას ყოველთვის ზიზღითა და დაცინვით ისვენებდა იმისთვისაც, რომ საერთოდ ქალები

ყველა ეჯავრებოდა.

3

აი, სწორედ ასეთ თვალსაჩინო როგორც თავის ხასიათით, ისე თავის მდგომარეობით პიროვნებათა შორის, რომელთაც ერთმანეთი ეჯავრებოდათ, მოექცა უმნიშვნელო სვანეთის მთავარი დადეშქელიანი, წერა-კითხვის ნახევრად მცოდნე, რუსულის თითქმის უცოდინარი და თავის აგრეთვე შედარებით მინიატურულ ინტერესებს გადაყოლილი.

რა თქმა უნდა, რაც უნდა დიდი ენერჯია გამოეჩინა თავის ძლიერ მუხობლების წინააღმდეგ, მხოლოდ და მხოლოდ წაგებით უნდა გათავებულყო მისი საქმე.

ორმოცდაათიან წლებში, მთავრის ძმას, ალექსანდრეს, რომელიც კარგად სწავლობდა ნიუგეოროლის პოლკში, ოფიცრობა მისცეს. ისიც ჩამოვიდა სვანეთში და უფროს ძმას მხარში ამოუდგა სამთავროს საქმეების წაყვანაში. ცხოვრებამ დაარწმუნა, რომ მოსახლურე მთავრებთან ცარიელი ლაპარაკით საბალახოს საქმე არ გადასწყდებოდა, ამიტომ მძებმა სთხოვეს მეფისნაცვალს ჩარეულიყო მათ საქმეში და საბოლოოდაც იმასვე გადაეწყვიტა საქმე. მათის თხოვნის გამო გამოგზავნილი იყო ცალკე კომისია პოლკის უფროსის გრაფ გალატერის თავმჯდომარეობით.

ჩვენში იმავე თვეთვე შემოღებულია საქმეთა გადაწყვეტა კომისიების საშუალებით. მაგრამ კომისიის საშუალებით საქმის მოგვარება – დროებითია, იარაგ მხოლოდ ზევიდან მისაშუშებს, სავსებით კი ვერა ჰკურნავს, და საერთოდ ასეთს კომისიას შედეგად სხვა არაფერი მოჰყვება, თვინიერ ტყუილ-უბრალო დროს ჰკარგვისა, მოხელეების ჯამაგირებისა და მათს საგზაოდ ხარჯების გაწევისა. იგივე დღე დაადგა გალატერის კომისიასაც. თვით გრაფი ერთი იმათგანი იყო, ვისაც *porto-franco*-ს (ნიშნავს უცხოეთიდან უბაჟოდ საქონლის შემოტანას) ეძახდნენ, ე.ი. ვინც ვორონცოვის მიერ მოყვანილი იყვნენ ოდესიდან, სადაც მაშინ *porto-franco* უხვად იყო; ესენი ხამად იყვნენ კავკასიაში, აქაურობისა არაფერი გაეგებოდათ, და როცა რომელსამე საქმის გაკეთება სწავდათ, ჯერ დიდსხანს უნდა ეტრიალებინათ ხელში, ხან საიდან მიუდგებოდნენ, ხან საიდან. ერთ-ორ წელიწადს გალატერი ცოდვილობდა, სანამ თავის მოხსენებას მტაბის უფროსს კოცებუს წარუდგენდა; კოცებუმაც კარგა ხანს გააჩერა და, ბოლოს, გადასწყვიტა, რომ სამეგრელოს მთავარმა, დავითმა, კონსტანტინე დადეშქელიანს საბალახოსათვის ფულად უნდა გადაუხადოს, ხოლო გადასახდელ

ფულის რაოდენობა სამედიატორო სასამართლომ დაადგინოს. მაშასადამე, ამ საქმის დასასრული კი არ იყო, არამედ აქ იყო დასაწყისი ახალი საქმისა, სახელდობს საჭირო იყო, რომ მთავრებს მედიატორები აერჩიათ სამედიატორო სასამართლოსათვის. ერთმა ალაჰმა უწყობდა, როდის მოაგვარებდნენ ამას, ალბათ განგებ გააჭიანურებდნენ მედიატორების არჩევას, ამიტომ რომ კონსტანტინეს ანგარიშით დავითს ცოტა მატა კი არ ემართა, არამედ მაშინდელი დროისათვის კარგა დიდი თანხა – შვიდასი თუმანი!

მთელის წლების განმავლობაში ჭიანურდებოდა ეს საქმე; ამასობაში მოუსწრო ყირიმის ომაც; კავკასიაში ყველაფერი არივ-ღაირია, და ისეთი საქმე, როგორც საბალახო იყო, აბა ვის მოაგონებოდა; მალე თოფიც გაგარდა.

1855 წლის ზამთარში, როცა დედოფალი ეკატერინე, მისი შეილები და დაინინო გრიბოედოვისა ქვაშორში ცხოვრობდნენ, გურულთა რაზმის ბანაკის ახლო, მასთან მივიდნენ კონსტანტინე დადეშქელიანი და მისი ძმა, უკვე ნიუგეოროლის დრაგუნთა პოლკის მტაბს-კაპიტანი. იმათის მოხელის მიხეილ ისევ საბალახო იყო. სრულებით არაფერი სცოდნიათ, რა მოხდებოდა ამ დროს ქვიშხორში, და სწორედ რომ უდროოდ დროს მოხვალა შეექმნათ. ეკატერინეს სწორედ ამ წუთას ჩაეფუშა საქმე საეკლესიო მამულების შესახებ, სოფელ სუჯუნაში; ეს მამული სამთავრო მამულებისათვის უნდოდა შემოეთრებინა, როგორც ეს მოხსენებელი გეჰონდა ამ წიგნის პირველ თავში. დედოფალმა იცოდა, რომ საქმის ჩაფუშვა მიხეილ შერვაშიძის საიდუმლო საქციელის ბრალი იყო; მიხეილი ამ დროს ჭკადუაში ცხოვრობდა თავის სიმამრთან, გიორგი ბატონიშვილთან, და ბოროტად უხაროდა, როცა გაიგო – კონსტანტინე დადიანმა სუჯუნაში სირცხვილი ჭამაო. და სწორედ ასეთ დროს მოდის მასთან დადეშქელიანი, მახლობელი ნათესავი მიხეილისა; ეკატერინეს აზრით მოუვიდა, რომ დადეშქელიანი ალბათ შერვაშიძემ გამოგზავნა, რომ დაწერილებით გაიგოს, რა ხდება ჩემს სახლშიო. ამიტომ მეტად ქედმაღლურად დაუხვდა ძმათა დადეშქელიანებს. ამათ სიტყვა ჩამოუდგეს თავიანთი საქმეზე (საბალახოზე), მაგრამ რაკი დაინახეს, პირჯვარს ვერ გადავაწერინებთო, წამოვიდნენ, გულში ეშმაკობა არაფერი სდებიათ ისე, თითქოს განგებო, ჭკადუაში, გიორგი დადიანთან. იქ საქმიანი მოლაპარაკება ჰქონდათ მიხეილ შერვაშიძესთან ისევ იმ საბალახოს თაობაზე. მიხეილთან კონსტანტინეს, ცოტა არ იყოს, ცუდი განწყობილება ჰქონდა. მიხეილთან წასვლა დადეშქელიანებისა ეკატერინეს ძალზე ეწეინა; გადასწყვიტა – აშკარად დამცინიანო, და ამ წუთიდან კონსტანტინე დადეშქელიანს თავისუფლად შეეძლო დედოფალი თავის მოკეთეთა სიდან ამოეშალა. ეკატერინე არ ერიდებოდა ხმამაღლა ეთქვა – ამ ნადირს ვაგრძობინებ, როგორ შემიძლია ჭკუა ვასწავლო ხოლმე, ვინც რომ მე უპატივეცემულად მომეკიდებაო.

ამ ამბავმა ჯამსუხის, კონსტანტინეს დაუძინებელი მტრის, ყურამდე მიაღწია, და იმანაც საჩქაროდ თავისი კაცები გაუგზავნა დედოფალს გორდში, სადაც საზაფხულოდ იყო წასული. ჯამსუხი სთხოვდა – ნება გვიბოძე გინახულოო. დედოფალმა ნება დართო. იმანაც ორი თავისი შეილი – თენგიზი და გელა იახლა და მაშინათვე წამოვიდა ეკატერინესთან.

შემთხვევა მქონდა დავსწრებოდი ეკატერინესი და ჯამსუხის შეხვედრას. ჯამსუხი ასე ორმოცდახუთის წლისა იქნებოდა, უკვე თეთრი ჰქონდა გამორეული, ხმელ-ხმელი იყო, ტანადი, მაღალი, სახის სწორნაკეთიანი, ჭკუიანი და გამომეტყველო თვალბიანი, მეტად საამო საყურებელი. მისი შეილები უფროსი 18 წლისა იყო, უმცროსი კი 15-სა, ორივენი მეტად ლამაზები იყვნენ.

დედოფალთან ჯერ ვითომ მოსაკითხ-

ავად მოვიდა და მერე როგორც მოციქული და შუაკაცი თავისუფალ სვანეთის ერთ-ერთ, მგონი, ლატალის, საზოგადოების მხრივ. საქმე ის იყო, რომ ხუთ-ექვს წლის წინათ, ლენხუმის ბაზრობის დროს, სოფელ მურს ახლოს, რაღაც უბრალო რისამე გამო შელაპარაკებულან და მერე ჩხუბზე გადასულან ამ საზოგადოების მცხოვრებნი და მეგრელები. ჩხუბი იმით გათავებულა, რომ შემოკედომიათ ერთი მეგრელი და ამას შემდეგ სვანები მარჯვედ გაქცეულან და თავიანთ ხე-ხუეებისთვის თავი შეუფარებიათ. მთავარი დავითი ამისთვის გაურისხდა ლატალის საზოგადოებას და თავის ქვეშემდომებს უბრძანა ცხენის-წყალის ხეობით არც ერთი ლატალელი არ შემოეშთ სამეგრელოში; ასეთი სასჯელი მეტად სამძიმო შეიქნა: ლატალელებს აღარ შეეძლოთ თავიანთი ნაწარმოები სამეგრელოს ბაზრებზე გაესაღებინათ და სამაგიეროდ იქიდან წამოვლოთ თავიანთთვის მეტად საჭირო და აუცილებელი საქონელი – მარილი. იმ ზომამდე გაუჭირდათ საქმე, რომ არაერთხელ თვალცრემლიანებმა სთხოვეს მთავარს ეპატივებინა მათთვის დანაშაული და სამაგიეროდ ფულად ჯარიმა გადაეხდევინებინა მათთვის; მაგრამ მთავარი გაკერპდა და მათი ხევე-ნა არ შეისმინა. და ამა, ამ საცოდავების შეწყალებას თხოულობდა ჯამსუხი. ეკატერინეს გულის მოსაგებად ჯამსუხს თან მოეტანა საჩუქრად იარაღი, უნაგირები, ნაბლები და სხვა.

ჯამსუხის შუამდგომლობა ლატალელების სასარჩლოდ დედოფალმა შეწყნარა და მაშინათვე გააგზავნინა კაცი და უბრძანა გორდში მათი წარმომადგენლები შემოეშთათ. ამასობაში დედოფალი ცვილობდა რაც შეიძლება მეტი პატივი ეცა ჯამსუხისათვის და დიდი საბოძვარიც უბოძა. სტუმრები თავისთავად მეტად საინტერესო იყვნენ, ცხენებს აჯირითებდნენ, ნიშანში თოფს ისროდნენ, მღეროდნენ და თამაშობდნენ მთავრის შეილებთან და კარისკაცებთან. თვითონ ჯამსუხმა ერთნაირი საოცარი ცეკვა მახვენა, რომლის მსგავსი მე არსად არ მინახავს. მიწაში ტარით ჩარტობილი იყო ერთი-მეორის ახლოს სატევერები, დამით, დედ ცეცხლის და მოკიდებულ ფიჭვის დიდ კვარების სინათლეზე, დაირისა და სიმღერის აყოლებით, ჯამსუხმა დაიწყო ცეკვა. ჯერ ცეკვადა ზომიერად, მერე თანდათან მოუქარა და ისეთის სისწრაფით თამაშობდა, რომ მის მაგიერად მეშინოდა და ტანში ჟრუნტელი მივლიდა. სატევერებს შორის ჩიტივით დაფრინავდა. მიმოხვრის სინარჩავს, სახის გმირული და ვაჟკაცური გამომეტყველება, რომლითაც თითქოს სრულ; უშიშრობას გამოხატავდა, განსაკუთრებულს ეფექტს წარმოადგენდა, და როცა ცეკვის გათავებისას ნელ-ნელა უკლო თავის მოძრაობას, ყველანი საშინლად ახმაურდნენ და საერთოდ აღტაცება გამოხატეს.

საერთოდ დროსტარებისა და მიხარულების დროს დედოფალი და სტუმარი ახერხებდნენ განმარტობით ტკბილ ბაასს. ერთხელ ერთ ბაასის შემდეგ დედოფალმა ჯამსუხს გამოუცხადა – უნდა გიშვილოო. ეს ჩვეულება აქ დიდად გავრცელებული და მოწონებულია. ის ვინც შვილად მოიგებს სხვას, განსაკუთრებულ ღოცვის სიტყვების წარმოთქმის შემდეგ გულს გადიღვავს და ძუძუებზე კბილს დაადგმევინებს და ეს მანამდე ერთმანეთისათვის უცხო პირთათვის დედა-შვილურ ურთიერთობის დამყარების სიმბოლოა ხდება. ჩნდება სულიერი ნათესაობა, რომელიც სისხლის ნათესაობის სადარად ითვლება. შვილობილი ღვიძლ შვილს უდრის. აბა, რა თქმა უნდა, შვილად მოკიდების შემდეგ ჯამსუხისა და დედოფლის სიყვარული და სიმულვილი საერთოდ ხდებოდა, და ამიტომ მიხეილ შერვაშიძე – ჯამსუხისათვის და კონსტანტინე დადეშქელიანი – დედოფლისათვის მოსიხლვე მტრებად ხდებოდნენ.

# კაცობრიობის ისტორია კოლხეთით იწყება



კლიმენტი შელას წინამდებარე სტატიის ავტორია მისი ახლახან გამოსული წიგნის „კოლხეთი – ჩვენი სამყაროს კარიბჭე“ და მისივე უკვე კომპიუტერზე აწყობილი მობავალი წიგნის „კაცობრიობის ისტორია კოლხეთით იწყება“-ს მიხედვით

იბერიად იწყება კოლხეთით, კოლხეთშია ქართული და მსოფლიო ცივილიზაციის სათავე. პროფ. ლევან სანიკიძე.

აშშ-ს მეცნიერებმა ადამიანის გენეტიკის სპეციალისტებმა (სახელმძღვანელო ავტორი პროფ. ბრაიან საიქსი) ადამიანის მიტოქონდრიული ანალიზის საფუძველზე აღმოაჩინეს რომ ევროპელთა დიდი ნაწილის წინაპრები კავკასიიდან არიან წამოსულნი (კავკასიაში მაშინ კოლხები ცხოვრობდნენ). მიტოქონდრიული გენი მართავს ადამიანის გენეტიკას. აღნიშნული აღმოჩენა აღტაცებით მიიღო მსოფლიოს სამეცნიერო საზოგადოებრობამ. ევროპის „დის“ კლანებიდან უძველესი და უმდიდრესი ქსენია-ზანას, ან ქართული მითოლოგიით „დალის“ კლანი, რომელიც ჩამოყალიბდა კავკასიაში (კოლხეთში) 25 ათასი წლის წინ და ბოლო დიდ გამყინვარებამდე გავრცელდა მთელს ევროპაში. ის თითქმის ორჯერ უფრო ძველია, ვიდრე მომდევნო ვადიას კლანები, რომელთა ასაკი 17 ათასი წელია. განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ ქსენია-დალის გენები აღმოჩნდა ჩრდილოეთ ამერიკის ზოგიერთი ინდიელთა ტომის წარმომადგენელთა შორის. მეცნიერთა დასკვნით, ქსენია-ზანას კლანი, ევროპის ათვისების შემდეგ, მსოფლიოს დიდი გამყინვარების დროს ეინულით დაფარული ოკეანით ჩრდილოეთ ამერიკაში გადასულა და იქა დაფუძნებულა. ვლადიმერ ალფინიძემ, 1999 წელს წამოაყენა დებულება, რომ ქართულმა ტომმა კოლხეთში, კოლუმბამდე მრავალი საუკუნით ადრე ამერიკა აღმოაჩინა და იქ აღლანტიდური ცივილიზაცია დაამყარა. სენსაციური დამთხვევაა, ის რაც, 2007 წელს დაადასტურა ამერიკელმა მეცნიერებმა, მანამდე დიდი ხნით ადრე, თქვა ვლადიმერ ალფინიძემ. ამერიკელ მეცნიერთა აღმოჩენ-

ით, კავკასია (კოლხეთი) მსოფლიოში ადამიანთა მოდემის გავრცელების მთავარი კერა ყოფილა, რომ თანამედროვე ევროპელთა რასა მუტაციის გზით კავკასიაში ჩამოყალიბებულა და შემდეგ აქედან გავრცელებულა მთელ ევროპაში და ამერიკაში. კოლხ-ლაზ-ჭანები მსოფლიოს უპირველესი ქვეყნის მაცხოვრებლები იყვნენ, რომლებიც შემდგომში წამყვან როლს ასრულებდნენ ძველი დროის მსოფლიო ისტორიაში, მათ დედამიწაზე პირველებმა საფუძველი ჩაუყარეს რელიგიას, კულტურას, ცივილიზაციას, კაცობრიობის წინსვლა-განვითარების შარა-გზას, კაცობრიობის ისტორია კოლხეთიდან იწყება.

ზვიად გამსახურდია თავის ნაშრომში „საქართველოს სულიერი მისია“ (1990წ.) წერს: „ენათმეცნიერული მონაცემებით, უწინარეს ყოვლისა, უშუალოდ რომ არაინდოევროპელები არიან და მხოლოდ ქართველები ენები ენათესავენა უშუალოდ ენას, დღესდღეობით დაამტკიცა დიდმა ქართველმა მეცნიერმა მ. წერეთელმა. ავლანზეზე პირდაპირ არის პერფორაცია და სხვა ბერძენ ისტორიკოსთა მიერ ნათქვამი, რომ ისინი იბერები იყვნენ.“

აღმოსავლეთ ცივილიზაციის ანბანური კვლევის ცენტრის „შუმერის“ ბრუნდენტი, ქართული ანბანის მეკვლევარი ზ. ქაფიანიძე წერს: „ქართულ-მეგრულ-სვანური ენა უშუმერის ენაა, რომელმაც დასაბამი მისცა მსოფლიოს ყველა ენას, კულტურას და რელიგიას რომ მეგრულს, სვანურს, ქართულს ერთი უფუძე აქვს, ეს სამივე ერთად არის ის ენა, რასაც უშუმერული ენას ეძახდნენ და არის დღესაც. ეს ერთი დედის შვილები – მეგრული, სვანური და ქართული – ძვირფასი უშუმერული ენა, უნდა შეუნახოთ თანამედროვე და მომავალ თაობებს, რომ ჩვენი ისტორია 7600 წელზე მეტე ხნისაა, საქართველოში ეს კარგად არ იციან და ისიც არ იციან, თუ რატომ არის ქართული მეგრული სვანური ერთი და იგივე და რომ ძველი დაკარგული ისტორიის აღდგენას ებრძვიან და არ უნდათ გაიგონ რაშია საქმე“ (ხურბაჟ ქაფიანიძე, „რატომაა ქართული, მეგრული სვანური ერთი და იგივე“ გაზ. „ჯორჯიან თაიმსი“, 2005, 8-15 სექტემბერი).

პროფესორმა მიხაკო წერეთელმა პირველად მოიხსენია ებრაელი არქეოლოგი იულიუს ოპერტი (1912წ. „გვირგვინი“), რომელსაც სპეციალური სტატია მიუძღვნა ცნობილმა ჟურნალისტმა და მეკვლევარმა ნათელა ფოფხაძემ (ნათელა ფოფხაძე, „ქიანა ენგური ანუ სამეგრელო“ გაზ. „დღისკურია“, 2004, დეკემბერი, №19).

ოპერტის სურათი და ბიოგრაფია გამოქვეყნებულია „იუდეურ ენციკლოპედიაში“. დაიბადა გერმანიაში (გარდაიცვალა 1905 წელს). მოღვაწეობდა გერმანიაში და საფრანგეთში. საფრანგეთის მთავრობის დაფინანსებით არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა ძველ სამხრეთ საქართველოში. ქვედა მესოპოტამიის ქალაქ ერედუში (იოვლე-ბოდა) ლურსმნული დამწერლობის შესაძირკვლად მდებარე ღვთაება ენქის ტაძარი „ინგური“ პროტოშუმერული პერი-

ოდისაა. ძვ.წ. XXII-XXI საუკუნეების მიჯნაზე მეგრულ-ლაზების ერთი ნაწილი გადასახლდა ქვემო მესოპოტამიიდან ზემო მესოპოტამიაში და ღვთაება ენქის (ენ-ს, აია-ს) კულტი და ტაძარი „ინგური“ („ინგირი“) თან „გადაიტანეს“. ქვეყანას ეა, აია ერქვა, მთავარ ქალაქსაც იგივე სახელი ეწოდებოდა. ასე რომ, აიელებს (ელაელებს) დიდი მდინარის ნაპირზე ტაძარი აუცილთ და მდინარისათვის, ტაძრისათვის და ქვეყნისათვის სახელი „ენგური“ („ინგური“) დაუნათლებიათ. გამოდის, რომ ღვთაება ეთქმის ტაძარი „ენგური“ პალესტინაში, ისტორიაში პირველი ტაძარი, ქართული (მეგრულ-ლაზური) ყოფილა.

თავდაპირველად კოლხეთს რქმევია „ენგური“, „ინგური“, მაგრამ როგორც მიხაკო წერეთელი მიუთითებს „ოპერტმა ლურსმულ დამწერლობას უშუმერული უწოდა. ქვეყნის სახელწოდება „ენგური“ შეცვალა სიტყვით „შუმერით“, ხოლო ქვეყნის მცხოვრებთა სახელწოდება „ენგურელი“ სიტყვით „შუმერული“.

იულიუს ოპერტის მიერ „შუმერად“ სახელწოდებული სახელმწიფო, – წერს ნ. ფოფხაძე – არის სამეგრელოს სამეფო. „ენგური“, „ეგური“ როგორც მდინარეს, ისე ქვეყნის სახელწოდებაა. თავდაპირველად მდინარეს რქმევია „ეგური“ მიუთითებს ვახუშტი ბატონიშვილი ხოლო ლეონტი მროველის მიხედვით „ეგური“ ქვეყნის დასავლეთ საქართველოს სახელწოდება ყოფილა („გვარნავაზ მეფედ იქცა ქართლისა და ეგურს ზედა“).

იმასაც წერენ, რომ ი. ოპერტმა ქვეყნის სახელწოდება „ენგური“ იმტომ შეცვალა „შუმერით“, რომ სამხრეთ საქართველოდან უკმაყოფილო წავიდა.

მეცნიერებს დადგენილი არ ჰქონდათ შუამდინარეთში „შუმერების“ მოსვლამდე ვინ ცხოვრობდა, ამიტომ მათ „პროტო-ეგურატლები“ უწოდეს. ტოპონიმიც არ არის უშუმერული. მაგალითად ტიგროსის ძველი სახელწოდებაა „ოდიგანა“, ეგურატის – „ბურანინი“. უშუმერული სახელწოდების არ არის უძველესი ქალაქი ერედუ. „სანამ ე.წ. უშუმერები მოვიდოდნენ შუამდინარეთის სამხრეთში, მანამდე ამ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ ნამდვილი უშუმერები, იგივე ლაზ-მეგრელები, რომლებსაც ჰქონდათ თავიანთი კულტურა, ჰყავდათ თავიანთი ღმერთები თავიანთი ტაძრებით.“ – წერს მეკვლევარი ზ. სოფია (ბადა (ნეველი) სოფია, ლაზ-მეგრელო ჩვენს წელთაღრიცხვამდე ისტორია, თბ., 2006, გვ. 73).

ღვთაება მარდუეის მთავარი ტაძარი ესანგია და სატაძრო გოდოლი ზიქურთი (ზიქურატი) - „ეთემენანტი“ ბაბილონის ცენტრში შეიდარბოულიანი ყოფილა. პეროლდტე მას რეკასრთულიანად თვლიდა. ის ითვლიდა მიწისქვეშა ერთ სართულს, რომელსაც ერქვა „ჰტალლუ“ („შემოგვლავ“).

ინგლისელი არქეოლოგის ლეონარდ ულის მიერ მესოპოტამიაში გათხრების შედეგად მოპოვებული მასალებიდან ჩანს, რომ იქ ძვ.წ. XXV საუკუნის შემდეგაც ცხოვრობდნენ ბანანურ (მეგრულ-ლაზურ) ენაზე მოლაპარაკე ხალხები, და ურის III დინასტიის დაცემის გამო, გლოვის ნიშნად შექმნეს

ლიტერატურული ნაწარმოები „ურუში გარა“ („ურის ტირილი“ – „ურის გოდება“) ნ. ფოფხაძე აღნიშნავს, რომ „ქორთუების, ანუ ქართველების აღმნიშვნელი ცნება „კოლხიდან“ მომდინარეობს. „კოლხი“, „კოლხა“, რომელიც ქართული ლურსმული დამწერლობით მოღწეული წერილობით წყაროებში ჩვენი სახელმწიფოს უძველეს დედაქალაქად არის აღიარებული, ჩვენი ქვეყნის მეფემ ანმარემ დააარსა. ანმარე მეფის ზეობის ხანად, მისივე დროის საბუთებით, ცნობილია ძვ.წ. 3185-3120 წლები. მისი სურათი, სამეფო გვირგვინით და კვერთხით, გამოქვეყნებულია ინტერნეტითაც არაქართველ მეცნიერთა მიერ. მეფე ანმარე („ან“-ზეცა, „მარე“-კაცი, „ზევის კაცი“) განაგებდა, საქართველოს გარდა, მიმდებარე ტერიტორიებსაც: სამხრეთით – მეგრელთა ყურემდე (ამჟამინდელი სპარსეთის ყურე), დასავლეთით – ნილოსის ხეობის ჩათვლით („წითელ“ და „შავ“ მიწებს), ვრცელ ადგილებს – მეწამული ზღვიდან კასპიის ზღვამდე მოქცეული ტერიტორიებს, კავკასიის იბერიის ანუ ივერიის ნახევარკუნძულის (პორტუგალია-ესპანეთი) ტერიტორიების, ასევე ხმელთაშუა ზღვის აუზის სივრცეები, უძველესი დროიდან, დასახლებული იყო ქართველებით (კოლხებით) და მათი მონათესავე ტომებით, და ცივილიზაციის აკვნად სამართლიანად არის გამოცხადებული, აქ ჩამოსახა და გაიფურჩქნა მიწათმოქმედების განმომკვებელი ერის – ქართველთა ეროვნული კულტურა (ნათელა ფოფხაძე, „ქართველთა ან ქართველთა აღმნიშვნელი ცნება კოლხი“-ის მიმდინარეობის შესახებ“ ქართუ ანუ საქართველო ერთიანი, ერთობლივი უნდა იყოს, გაზ. „თუთარჩელა“, 2005, 8-10 აპრილი)

„ქიმეთი“, ნილოსის ხეობის უძველესი მოსახლეობის ენაზე „შამეშიან ქვეყანას“ ნიშნავდა – გეორგიას (გეორგია). ანმარეს შემდგომი მეფე იყო მარეხასა. ამ სიტყვის პირველი ნაწილი სვანური-ქართულით კაცს („მარე“) ნიშნავს. „დისა“ მეგრული-ქართულით მიწას, ე. ი. მიწისაგან

შექმნილი, მიწის მუშა. ჩანს, რომ ქვეყნის სახელი „ენგურ“ ანუ „სამეგრელო“, მისი დედაქალაქის – კოლხას ცნებაზე უძველესია. დედაქალაქი კოლხის სახელი მთელი ქვეყნის სახელი გახდა (კოლხეთი).

დედაქალაქი სახელი შექმნიდა ქალაქს და ქვეყანას „კოლხა“, „კოლხეთი“ ერქვა, მაგრამ დღეს ხნის შემდეგ სახელი გადაერქვა და „ნიმროდი“ უწოდეს, ანმარეც გადაიქცა ნიმროდად. ეს გააკეთეს ოფდევლებმა, უძველეს დროში, თანხმობან ხმოვნების წერის დროს დაშვებული უცდომის გამო. მაგრამ ის კი ცნობილია, რომ მეფე ანმარემ ღმერთებამდე ასამაღლებლად დიდი ტაძარი ააგებინა (აგებდა) – ბაბილონის ტაძარი ანუ გოდოლი. ისიცაა აღსანიშნავი, რომ ქართველთა დიდი ტაძრის მაკეტი ქალაქ ნიუ-იორკში უდიდესი „კარნეგის“ საკონცერტო დარბაზის სცენაზე დადგნა 2001 წლის სახალხოლო უხიშველი (1891 წლის 5 ივნისს ნიუ-იორკში გაიხსნა ცნობილი საკონცერტო დარბაზი კარნეგი პოლი, ორკესტრს რუსი კომპოზიტორი პეტრე ჩაიკოვსკი დირიჟორობდა).

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

## გილოცავთ!

უპირველესად, მადლობა მინდა გადავუხადო ასეთი კარგი გაზეთის შექმნისათვის მის მთავარ რედაქტორს, საპატიო დოქტორს როლანდ ჯალაღანიას და ცნობილ ქართველ პოლიტოლოგს ბატონ ალექსანდრე ჭავჭავაძეს, რომელიც, სხვა უამრავ სიკეთესთან ერთად, გაზეთს იმითაც ფასდაუდებელ დახმარებას უწევს, რომ ხშირად აქვეყნებს ფრიად საინტერესო პუბლიკაციებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვა საჭირობოტო საკითხებზე. ასევე მადლობის სიტყვებით მინდა მოვიხსენიო მთავარი რედაქტორის მოადგილე, საპატიო დოქტორი, შესანიშნავი გერმანისტი დავით ქობალია. გაზეთის სახელწოდებაც საგანგებოდაა შერჩეული – „ილორი“ სიწმინდის ტაძარია, რომელიც ოჩამჩირის რაიონის ტერიტორიაზე მდებარეობს და ყოფილიყვნა დვთისმ-შობლის ზეობის სიმბოლოს წარმოადგენს. მართლაც მთელი ქვეყნის, განსაკუთრებით კი სამეგრელოსადმი მიძიმე ჯამს შეიქმნა სახალხო მოძრაობა „სამეგრელო“ და მისი ბეჭდვითი

იარაღი – გაზეთი „ილორი“. შევარდნაძის ხელისუფლება ყოველი მზაკურული და ბინძური საშუალებებით ებრძოდა ქართულ ეროვნულ მოძრაობას, რომელიც მაშინ ყველაზე მეტად სამეგრელოში მძლავრობდა. განსაკუთრებული ომი კი მათ ახალგაზრდა პოლიტოლოგს, საქართველოს ჭეშმარიტ გულშემატკივარს, ბატონ ალექსანდრე ჭავჭავაძეს გამოუცხადეს, რომელიც არ ურიგდებოდა შევარდნაძის გამყიდველურ პოლიტიკას და მხოლოდ სიმართლეს ეუბნებოდა ქართველ ხალხს. სწორედ ამით იყო გამოწვეული შევარდნაძისა და მისი ხროვის აგრესია. გაიხსენეთ მისი სიტყვები, რომელიც მან ტელევიზიით წარმოთქვა 1994 წლის 24 ივნისს: „სწორია ჩვენი გადაწყვეტილება, რომ შევედით სამეგრელოში. ეს ჩვენ ადრე უნდა გავგეგმიყინოთ. ყველამ უნდა მიიღოს საკადრისი პასუხი, ჩვენ უნდა გავანადგუროთ პროვინციული ფაშაზიზმი და გავანადგუროთ კიდევ...“ ვერაფერს იტყვი – სოქვა და აასრულა კიდევ! ხელისუფლების დამოკიდებულება სამეგრელოს მიმართ კიდევ უფრო დაიძაბა, რომლის შემდეგ ალექსანდრე

ჭავჭავაძე და მისმა თანამოაზრეებმა დააფუძნეს სახალხო მოძრაობა „სამეგრელო“ და გაზეთი „ილორი“. ღრუბერ ორგანიზაცია მეკვრედად დაეპირისპირდა შევარდნაძისა და მისი გარემოცვის ანტისახელმწიფოებრივ პოლიტიკას, რომელსაც დაღუპვისაკენ მიჰყავდა საქართველო. სამეგრელოს კუთხის შევიწროვებამ მეტად „დახვეწილი“ იერი მიიღო, რაც საქართველოს კუთხეებს შორის დაპირისპირების რეალურ საფრთხედ იქცა. გაიხსენეთ გადაკეთებული დეკლარაცია „სამეგრელოს გარდა“, რაც კრიმინალების სამოქმედო პროგრამად იყო ქცეული. სწორედ ასეთ მიმე ჯამს „ილორი“ საკადრის პასუხს სცემდა „მოხრებულ გვირ“ შევარდნაძეს და მის ყანალებს მამხილებელი სტატიებით, ნარკვევებით, მეცნიერული ხასიათის პუბლიკაციებით... სწორედ მაშინ დაიხსნა საკრალური შეკითხვა: „შეიძლება კი სეპარატიზმში დაადანაშაულო ის კუთხე, რომელმაც სათავე დაუდო ქუჩისა და ფარნავაზის სამფლობელოების შეკავშირებას?“ ანა სწორედ სამეგრელო არ გახლავთ ერთიანი საქართველოს ქვეყნისად „ილორმა“ დიდი როლი ითამაშა

ხელისუფლების მიერ ინსპირირებული კუთხეებს შორის დაპირისპირების განმუხტვაში, რასაც შეიძლება უადრესად მძიმე შედეგი მოჰყოლოდა. გაზეთის არაერთხელ აუხლია ფარდა ხელისუფლების ცბიერი განაზრახვისათვის. და საბოლოოდ დაადგინა, რომ სეპარატიზმი მოდის არა სამეგრელოდან, არამედ საქართველოდან და შლა-დანაკუწების მსურველი ხელისუფლების მაღალი კაბინეტებიდან... მას შემდეგ, რაც გაზეთმა განახლებული სახით დაიწყო ფუნქციონირება, სწრაფად აღიღვინა საზოგადოებრივი ნდობა და დირსუელი ადგილი დაიკავა ქართულ მდინარეებში, რაც გაზეთის ორგანიზატორებისა და მისი ავტორების უღავო დამსახურება გახლავთ. გაზეთიდან დამაჯერებლად გვესაუბრებიან ცნობილი პუბლიცისტები, მეცნიერები, სამშობლოს სიყვარულით გულანთებული უბრალო ადამიანები, ფართოდ არის წარმოხლებული შემოქმედებითი ინტელექტუალი... მიუხედავად გარკვეული სიძნელეებისა, გაზეთი ჩვეული რიტმით აგრძელებს მუშაობას, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვით თანამოაზრეებს და მათ შემოწირულობებს. ეროვნულ ფასეულობათა დისკრედიტაციის ფონზე გაზეთის არასოდეს უდაღაცნია მოქალაქეობრივი მრწამსისათვის და მტკიცედ დგას ეროვნულ პოზიციაზე. ხშირად იბეჭდება ცნობილი ისტორიკოს-მეცნიერთა წერილები, რომელიც ასახავს კოლხ-იბერთა მდიდარ წარსულს, გაზეთი ასევე დიდ როლს ასრულებს ლაზებთან ურთიერთობის გაღრმავების საქმეში. მოხდენილადაა მორგებული იუ-მორისტიული ნაკვეთები, რაც მკითხველთა დიდ მოწონებას იმსახურებს. კიდევ ერთხელ მინდა მოვულოცო გაზეთს მუხსე ნომრის გამოსვლის დროშესანიშნავი მოვლენა და ჩემი წერილი გავასრულო ყველასათვის საყვარელი პოეტის იოსებ გრიშაშვილის ლამაზი სიტყვებით: „სიტყვებს, სიტყვებს ვერ ვყოფილბ, მისსა შესაფერსა, დაგვმდები და დუმილით, ვიტყვი ყველაფერსა.“ გიორგი (გონი) ცაგავა საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის ნამდვილი წევრი – აკადემიკოსი

ეკლავი გამარჯვების გზით გველო!

პატივცემულ მეგობრებო! გულითადად გილოცავთ თქვენი შესანიშნავი გაზეთის მეასე ნომრის გამოსვლის ღირსებას...

დღეს, როცა საქართველოში ესოდენ მოჭარბებულია სერიოზული მკითხველისათვის არასაინტერესო ყვითელი პრესა...

მევესალმები თქვენს შემართებასა და შეუპოვრობას საქართველოს მთლიანობისა და ერთიანობის დაცვის საქმეში!

მისასალმებელია, რომ გაზეთი "ილორი" დაუნდობლად ებრძვის ქართული სულიერების დამახინჯების ყოველ მცდელობას.

ჭეშმარიტების გზით!

სახალხო მოძრაობა "სამეგრელო"-ს გაზეთი "ილორი" ჭეშმარიტად ასახავს იმ რეალურ მოვლენებსა და პროცესებს...

პოლიტიკური მოვლენებისა და პროცესების გაშუქებას "ილორი" მინც ახერხებს, მიუხედავად ქვეყანაში არსებული ტოტალიტარული რეჟიმისა.

სულის სიმხნევე, ტანის სიმრთე და შემოქმედებითი წინსვლა მისურვებია, ჩემო ძებო!

გაზეთი "ილორის" რედაქციას შარშანდელი ავადსახსენებელი ავგისტოს ომის შემდეგ, რეგულარულად ვიღებ ინფორმაციებს საქართველოს შესახებ.

დღიდან გაზეთის დაარსების, სულ უფრო და უფრო იზრდება მკითხველთა ინტერესი მასში დაბეჭდილი მკვლევარული ნარკვევებისა და სტატიებისადმი.

ასახვა, რომელიც ერის პოლიტიკური ფილოსოფიაა. ფილოსოფია კი, თავის მხრივ, მკვლელის სიტყვებით რომ ვთქვათ, "არის აზრებში ასახული ეპოქა".

გაზეთის რედაქციას, ჟურნალისტებსა და ავტორებს ვულოცავთ საიუბილეო მე-100 ნომრის გამოცემას!

ჭეშმარიტების გზით გველოთ, ძვირფასო მეგობრებო! ამბროსი ფაილოძე, ფაზისის საერო აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი.



ჩემო მეგობრებო, გილოცავთ გაზეთის მე-100 ნომრის გამოცემას! თქვენს მართალ სიტყვას მართალი გზით ველოს ყოველთვის!

მასხარებს ის, რომ გაზეთს უკვე ჰყავს თავისი ერთგული მკითხველი. გაზეთი "ილორი" სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ორგანოა და ცხადია გვერდს ვერ აუვლის ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს.

ჩვენი უახლესი ისტორიის, ჩვენი დღევანდელი ყოფის პირუთენელი გაშუქებით გაზეთი იპყრობს ყურადღებას. ჩემთვის, როგორც ფილოლოგისათვის, ის არის გასახარი, რომ ამ უწიგუნრობის (წიგნაუკითხაობის) ჟამს, მაგანი გაზეთს მაინც იღებს ხოლმე ხელში წასაკითხად და "ილორის" მეშვეობით გაიცნოს სწორედ ბევრმა ველიკოს "კავკასია", ბოროზდინის "სამეგრელო და სვანეთი".

დიდებული საქმე გააკეთეთ პოემა "ბუღათიას" გამოქვეყნებით. ჩემი დიდი სურვილია, შემდგომში თქვენი გაზეთის ფურცლებზე ვიხილო მეგრული ხალხური პოეზიის შესანიშნავი ნიმუშები, რომლებიც ამოუწურავი საღაროა ჩვენი დღევანდელი დედა-ენისა! ეგება "ისმინონ მსმენმა" და "თუაღნი" ახელოდნენ ბრმათა.

სულის სიმხნევე, ტანის სიმრთე და შემოქმედებითი წინსვლა მისურვებია, ჩემო ძებო!

პატივისცემით, რევაზ ჩაფიძე

გაზეთი "ილორის" რედაქციას შარშანდელი ავადსახსენებელი ავგისტოს ომის შემდეგ, რეგულარულად ვიღებ ინფორმაციებს საქართველოს შესახებ.

გაზეთი "ილორის" რედაქციას გაზეთი "ილორი" ჩვენთვის ცნობილი გახდა შარშანდელი 8 დეკემბრის ბოცენის "მესასს" შემდეგ, რომელიც "სამხრეთ ტიროლის" თავისუფლებისათვის დაცემულთა ხსოვნას მიეძღვნა.

სადაც, ყველასათვის მოულოდნელად დოქტორ რაინერ გაისლერმა მრავალათასიან აუდიტორიას წაუკითხა გაზეთი "ილორის" რედაქციის მიერ გამოცხადებული, თანადგომის წერილი-მიმართვა, სადაც ტრაგიკული ისტორია იყო მოთხრობილი, რო-

მუსოლინის ფაშისტური ურდოების მიერ დაპყრობილი "სამხრეთ ტიროლის" განთავისუფლებას ოთხმოცდაათსაზე მეტი ჩემი თანამემამულე შეეწირა და იგი დღემდე არ არის მოგვარებული.

შარშან, 8 დეკემბერს, "სამხრეთ ტიროლის" განთავისუფლებისათვის დაცემულთა მოსახსენებელ წირვაზე, ქალაქ ბოცენში, გაზეთი "ილორის" გამოცხადებული თანადგომის წერილს, სადაც მოკლედ იყო აღწერილი აფხაზეთის და სამაჩაბლოს ტრაგედიები, მრავალი ათასი, გაოგნებული და თვალცრემლიანი "სამხრეთ ტიროლი" ისმენდა.

როცა, ორი ქვეყნის ისტორიას ერთმანეთს ვადარებ, გასაოცარ მსგავსებას ვხედავ - თითქოს წინასწარ დაგეგმილიყო, ავსტრიელებს და ქართველებს ხან ჩრდილოელი, ხან კიდევ სამხრეთელი მეზობელი გვეგულჯდა ძირძველ ტერიტორიებს!

გაზეთი "ილორით" ჩემი განსაკუთრებული დაინტერესება კოლხეთის უძველესი კულტურის გამოკვლევებში და დღემდე უცნობმა ინფორმაციებმა განაპირობა, რომლებიც მის ფურცლებზე იბეჭდებოდა.

ქართველი მეცნიერის, პროფესორ გია კვაშილავას მიერ "ფესტის დისკოს" წარწერის გამოფრვამ, რომლის შესახებაც რეგულარულად აქვეყნებს "ილორი" მასალებს, ჩემი ინტერესი გაზეთისადმი გააორმაგა.

სამწუხაროდ, ქართულ ენას ჯერჯერობით სრულყოფილად ვერ ვფლობ, მაგრამ ამ ხარვეზს "ილორის" რედაქცია მივსვამ, რომელიც უანგაროდ მაწვდის ჩემთვის საინტერესო წერილებს მშობლიურ გერმანულ ენაზე, რომელიც მომავალში ჩემი სადისერტაციო ნაშრომის დიდ ნაწილს დაიკავებს.

ყოველივე ამის გამო, დიდ მადლობას ვუხედი ჩემს დიდი ხნის მეგობარს ბ-ნ დავით ქობალიას და გაზეთის მთავარ რედაქტორს ბ-ნ როლანდ ჯალაღანიას, რომლის პირადად გაცნობის ბედნიერება ჯერ კიდევ წინ მაქვს!

წარმატებებს და მრავალ სასიხარულო დღეებს ვუსურვებ გაზეთი "ილორს", თქვენს და ჩემს საყვარელ საქართველოს და მამაც ქართველ ხალხს!

დოქტორი რაინერ გაისლერი ვეროპის საპატიო, მხედრული, ჰუმანიტარული ორდენის Cordon Bleu Du Saint Esprits წევრი



გაზეთი "ილორის" რედაქციას გაზეთი "ილორი" ჩვენთვის ცნობილი გახდა შარშანდელი 8 დეკემბრის ბოცენის "მესასს" შემდეგ, რომელიც "სამხრეთ ტიროლის" თავისუფლებისათვის დაცემულთა ხსოვნას მიეძღვნა.

მელიც მამაც ქართველ ხალხს გადახდა თავს მეოცე საუკუნის მიწურულს და დღესაც გრძელდება.

რამ უნდა გააკვიროს "სამხრეთ ტიროლი" თითქოს, მაგრამ ყველა იქ დამსწრემ წვეილი ცრემლის წვეთი მიაგო ორივე ქვეყნის ავსტრია-საქართველოს თავისუფლებისათვის დაცემულ მებრძოლთა ხსოვნას.

ამ დღეებში, ბატონმა დოქტორ გაისლერმა გვაცნო "ილორის" საიუბილეო მე-100 ნომრის მოახლოების შესახებ - თუ ადგილი მოიძებნება "ილორის" ფურცლებზე, ყველა ტიროლელის და განსაკუთრებით "სამხრეთ ტიროლი" სახელით, მამაც ქართველ ხალხს, უკიდურესი გასაჭირის ჟამს, უდიდეს მომხდურთან უთანასწორო ბრძოლაში გამძლეობა გეინდა ვუსურვოთ!

ხოლო, გაზეთი "ილორს", მის შემოქმედელ და ერთგულ მკითხველებს წარმატებები და მშვიდობიანი ცა!

გრაფები, ქრისტინე და გიუნტერ ფონ შვილმანები, ვეროპის საპატიო, მხედრული, ჰუმანიტარული ორდენის Cordon Bleu Du Saint Esprit კომტურები, ტრენტინოში, შვეიცარია და ლიხტენშტეინში. ინსბრუკი, ავსტრია



ბ-ნ როლანდ ჯალაღანიას, ბ-ნ დავით ქობალიას

ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ გაზეთი "ილორის" მეასე ნომერი გამოდის სექტემბრის დასაწყისში. თქვენი გაზეთი ჩემთვის ძალიან ახლობელია და უნდა ვთქვა, საქართველოში ყოფნისას, რამდენიმე სპორტული გაზეთის შემდეგ ერთადერთი პოლიტიკური გაზეთი "ილორი" იყო, რომელსაც საქართველოში ყოფნისას ჩემი ნაცოდვილარი ქართული ვკითხულობდი.

მე მასხოვს თქვენი და თქვენი გაზეთის გულითადი თანადგობა, როცა მოულოდნელად პრობლემები გამიჩნდა. თითქმის ზეპირად მასხოვს თქვენი წერილი, რომელშიც მაშინ ჩემს და ზოგადად ქართული ფეხბურთის პრობლემებს მიეძღვნა. ეს იყო არა უბრალო საინფორმაციო წერილი ფეხბურთზე, არამედ მაღალ პროფესიულ დონეზე გაკეთებული ანალიზი, რომელიც სასიკეთოს არაფერს უქადა და ქართულ ფეხბურთს, და სამწუხაროდ, ყოველდღე ცხადდება.

მე ყურადღებით ვადევნებ თვალყურს ქართულ ფეხბურთს, რომლის ერთგულ გულშემატკივრად ვრჩები. ღრმად ვარ დარწმუნებული, საქართველოში არსებული საფეხბურთო პოტენციალი, თუ კი იგი სწორად წარიმართა და დაუბრკოლებლად, ხანგრძლივი დროით მიეცა ვინმეს მისი განხორციელების საშუალება, ნამდვილად გააკვირვებს საფეხბურთო სამყაროს.


გადავცით ჩემი გულისტკივილი ზუგდიდის "ბაიას" ყველა ფეხბურთელს და მის ხელმძღვა-

ნელობას წარმატებული სტარტის გამო. არც "ბაიერს" გაუმართლა წელს, ამ მხრივ, მაგრამ იმედი მაქვს ორივე გუნდი გამოასწორებს სატურნირო მდგომარეობას.

"ილორს" და "ილორელებს" ვუსურვებ წარმატებული სტარტი და ტემპი მეათასე ნომრამდე გაჰყოლოდეთ!

როგორც საქართველოში მასწავლებს - შემდეგ ერთად დაგხსნდეთ და მთრეფ ათასის აღმართს შევეუდგეთ!

დიდი პატივისცემით, ჰერბერტ ცანკერი, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების და ზუგდიდის "ბაიას" ყოფილი მწვრთნელი ინგოლშტადტი, გერმანია



ძვირფასო მეგობრებო, კოლეგებო!

გულითადად გილოცავთ ჭეშმარიტად ღირსესანიშნავ იუბილეს - თქვენი გაზეთის მეასე ნომრის მისი შექმნე გამოცემას!

მე ჟურნალისტი ვარ და ვიცი თუ რაოდენ ძნელია მკითხველისათვის ობიექტური და საინტერესო ინფორმაციის მიწოდება, სხვა რისკებზე რომ არაფერი ვთქვათ, რაც დიქტატორული ხელისუფლებისაგან ემუქრებათ თავისუფალ ჟურნალისტებს. ამიტომ მიაჩნიათ, რომ ჟურნალისტი ფრონტის წინა ხაზზე მდგარ ჯარისკაცია, რომელიც მართალი სიტყვითა და მიუკერძოებლობით იცავს სამშობლოსა და მშობლიურ ხალხის სახელსა და ღირსებას.

ნამდვილად საინტერესოა ექსკურსიები, რომელსაც გაზეთი "ილორი" უწყობს დაინტერესებულ მკითხველებს საქართველოს მრავალათასწლიან წარსულში, საინტერესოა პრესიტორიული ხანის გამოძახილი, რომელიც ღირსეულად მიუჩენს ადგილს საქართველოს უძველესი ცივილიზაციისა და კულტურის მქონე ქვეყნების რიგში, საინტერესოა მიმდინარე პრობლემების თქვენი უფლები ხედავა, საინტერესოა თქვენი წერილები ქვეყანაში მიმდინარე იმ ნეგატიურ პროცესებზე, რაც ამახინჯებს ჩვენი მომავლის - ქართველი ახალგაზრდების სულსა და ზნეობას.

ასევე, დიდი მადლობა მინდა მოვახსენოთ გაზეთი "ილორის" მთავარ რედაქტორს, ჩემს უფროს მეგობარს ბატონ როლანდ ჯალაღანიას, რომელიც მაგალითის მიძეგმია ახალგაზრდა ქართველი ჟურნალისტებისათვის.

კიდევ ერთ გულგვიკეთი იუბილეს და ხელსურვებთ, რომ კვლავც შესაშური მონღომებით გააგრძელოთ შემოქმედებითი დეწა მშობლიური ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ!

ღრმა პატივისცემით, ირაკლი თოდუა, გაზეთი "საქართველო და მსოფლიოს" მთავარი რედაქტორი

გაზეთი "ილორი" შექმნა რეპრიკას "მსოფლიოს საშპეტისო ფეხბურთელები" გაზეთი "ილორი" შექმნა რეპრიკას "მსოფლიოს საშპეტისო ფეხბურთელები"

# ეუსებიო

## მისი უდიდებულესობა – ფეხბურთის მეფე

პორტუგალიური ფეხბურთის ისტორიაში უდიდესი მოთამაშე ეუსებიო ეროვნებით პორტუგალიელი არ ყოფილა. იგი დაიბადა და გაიზარდა მოზამბიკში, რომელიც იმ დროისათვის ჯერ კიდევ პორტუგალიის კოლონია იყო. ეუსებიო გახდა პირველი აფრიკელი ფეხბურთელი, რომელმაც მსოფლიო აღიარება მოიპოვა.

ახალგაზრდა ეუსებიოს მიმართ ყურადღება თავიდან გამოავლინა პორტუგალიურმა "სპორტინგმა", რამაც ერთგვარად გამოაცოცხლა ფეხბურთის სამყარო. როცა "სპორტინგმა", 1961 წელს, ეუსებიო მიიწვია გუნდში ჩასარიცხად, საფეხბურთო კლუბი "ბენფიკის" მესვეურებმა ეუსებიო თვითმფრინავის ტრაპიდან მოიტაცეს და მანამდე ჰყავდათ გადახალული, ვიდრე "სპორტინგმა" მის მიმართ ინტერესი არ დაკარგა. ამ დროს "ბენფიკას" წვრთნიდა უნგრეთის ფეხბურთის ვეტერანი ბელა გუტმანი. იგი საერთოდ მაღალი წარმოდგენის გახლდათ მოზამბიკელ ფეხბურთელებზე. მის მიერ დაკომპლექტებულ გუნდში განსაკუთრებით იყო გამოჩენილი აფრიკელთა მთელი ჯგუფი. კერძოდ: მეკარე კოშტა პერეირა, ცენტრფორვარდი და გუნდის კაპიტანი ჟოზე ავუაში და ორი თავდამსხმელი – ჟოაკინ სანტანა და მარიო კოლუნა. თუმცა, მათ შორის ყველაზე გა-

მორჩეული მაინც ეუსებიო იყო. გუტმანმა ეუსებიო 1960-61 წლებს სეზონის ბოლოს შეიყვანა ძირითად შემადგენლობაში. მანამდე იგი სათადარიგოთა გუნდში თამაშობდა და სწორედ მაშინ შეხვდა პარიზში პორტუგალიის "ბენფიკა" ბრანხილის "სანტოსს", სადაც უკვე ფეხბურთის მეფედ აღიარებული პელე თამაშობდა. პირველ ტაიმს "ბენფიკა" 0:3 აგებდა, როცა გუტმანმა მოედანზე ეუსებიო გამოიყვანა. მართალია, პორტუგალიელებმა ეს მატჩი წააგეს, მაგრამ ეუსებიომ სამი გოლი გაიტანა და თვით პელეს კი დაჩრდილა. მაშინ ეუსებიო სულ 19 წლისა იყო.

ერთი წლის შემდეგ, ამსტერდამში გამართულ ჩემპიონთა თასის ფინალში, სადაც "ბენფიკამ" მადრიდის "რეალი" დაამარცხა ანგარიშით 5:3, ეუსებიომ ორი გოლი გაიტანა და ფაქტურად გადაწყვიტა მატჩის ბედი. 13 საფეხბურთო სეზონის განმავლობაში, რომელიც ეუსებიომ პორტუგალიის "ბენფიკის" შემადგენლობაში გაატარა, იგი შეიძვერ გახდა პორტუგალიის ჩემპიონი და ორჯერ მოიპოვა ჩემპიონთა თასი. 1965 წელს იგი დაასახელეს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად. 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მან ბრინჯაოს მედალი მოიპოვა პორტუგალიის ნაკრებთან ერთად და გახდა ჩემპიონ-

ტის საუკეთესო ბომბარდირი, 9 გოლი გაიტანა. ეუსებიომ სულ ნაკრებში ჩაატარა 46 მატჩი და გაიტანა 38 გოლი. ეს ფეხბურთის ჭეშმარიტი დიდოსტატი შეიძვერ გახდა პორტუგალიის ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი, თუმცა მუხლის სერიოზულმა ტრავმამ აიძულა, რომ 32 წლის ასაკში დაენებებინა თავი აქტიური ფეხბურთისათვის.

მაგრამ ეუსებიოს ვერ წარმოედგინა ცხოვრება ფეხბურთის გარეშე და როდესაც ჩრდილოამერიკულმა საფეხბურთო ლიგამ "NASL"-მა შესთავაზა მას საფეხბურთო კარიერის ამერიკაში გაგრძელება, იგი ამ წინადადებას დათანხმდა და ოკეანის გადასვლა გადაწყვიტა. იგი თამაშობდა "ბოსტონ მინტმენში", შემდეგ გამოდიოდა "ტორონტო მეტროს-კრაციაში", ბოლოს კი "ლას-ვეგას კვიკსილვერში". მთელი მსოფლიოს ფეხბურთის გულშემოყრებმა ეუსებიო შეიყვარეს არა მხოლოდ როგორც უდიდესი ფეხბურთელი, არამედ, როგორც ფეხბურთის მოედანზე ჯენტლმენი და უაღრესად პატიოსანი სპორტსმენი. 1968 წელს, ეუსებიომ, "უემბლიზე" კინაღამ მოიგო "ბენფიკასათვის" ჩემპიონთა თასი "მანჩესტერ იუნაიტედთან" ორთაბრძოლაში, როცა მატჩის ბოლო წუთებზე შეედლო გოლის გატანა. მაგრამ ინგლისელთა მეკარემ მართლაც აუღებელი ბურთი აუღო. და იცით, როგორ მოიქცა ეუსებიო? მან ზურგზე ხელი მოხვია მოწინააღმდეგის მეკარეს და მისი ოსტატობისადმი პატივისცუ-

მის ნიშნად ტაში დაუკრა. საერთოდ, ლონდონის სტადიონმა "უემბლმა" დიდი როლი ითამაშა ეუსებიოს საფეხბურთო კარიერაში. 1963 წელს, ჩემპიონთა თასის ფინალში, "ბენფიკა" მართალია დამარცხდა "მილანთან", მაგრამ ამ მატჩში ეუსებიომ მართლაც შესანიშნავი გოლი გაიტანა. 1966 წელს კი მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალები პორტუგალიის ნაკრებმა სწორედ ეუსებიოს ფანტასტიკური თამაშის წყალობით მოიპოვა, რადგან ჩრდილოკორეელებთან გამართულ გადაწყვეტ უმძიმეს მატჩში, რომელსაც უკვე მეცამეტე წუთზე 3:0 აგებდნენ პორტუგალიელები, სწორედ ეუსებიოს მიერ გატანილმა გოლებმა გადაწყვიტეს მატჩის ბედი.

პორტუგალიაში, "ბენფიკას" სტადიონ "ესტადიო დე ლუზის" შესასვლელთან დგას ეუსებიოს ძეგლი, როგორც პორტუგალიის ყველაზე დამსახურებული ფეხბურთელის აღიარების სიმბოლო. **ბიოგრაფია**  
ეუსებიო და სილვა ფარეირა დაიბადა 1942 წლის 25 იანვარს ლორენსუ მარკისში (მოზამბიკი). 1952 წელს მივიდა "სპორტინგის" იუნიორთა სექციაში. 1961 წელს იგი მიიწვია პორტუგალიის "სპორტინგმა", თუმცა მოიტაცა "ბენფიკამ" და საბოლოოდ მისაკუთრდა.  
1962 წელს, ჩემპიონთა თასის ფინალში მან ორი გოლი გაიტანა "რეალის" კარში და თავის გუნდს გაამარჯვებინა.  
1965 წელს იგი დაასახელეს

ევროპის საუკეთესო ფეხბურთელიად.

1966 წელს, გაიტანა რა ცხრა გოლი, გახდა მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი, რის გამოც შეიყვანეს მსოფლიოს სიმბოლურ ნაკრებში. სწორედ მაშინ უწოდეს მას "ახალი პელე" და "შავი პანტერა".

1969 წელს მეშვიდედ და საბოლოოდ მოიპოვა პორტუგალიის ჩემპიონის წოდება "ბენფიკასთან" ერთად. შემდეგ კარიერა მექსიკაში და კანადაში გააგრძელა. 1992 წელს, პორტუგალიაში, "ბენფიკას" სტადიონ "ესტადიო დე ლუზის" შესასვლელთან დაიდგა მისი ძეგლი.

გიორგი ჯაღალანია



### იამოლო

ორნი თევზაობენ. იქვე ახლოს ნარკომანი ჩაცუცქულა და "წამალს" ხარშავს. ამ დროს მე-თვეზე დაიჭერს ოქროს თევზს, რომელიც ეტყვის, გაშიშვით და სამ სურვილს შეგისრულებთ.

ნარკომანი ეუბნება: ბევრი ფული მინდა, მანქანა და ბევრი ნარკოტიკები.  
- კარგი! - ეტყვის ოქროს თევზი: - ახლავე ავისრულდება! ახლა მეთევზეს ეკითხება, შენ რა გინდა?

- მე სახლში ბევრი ბუზი მყავს და ისინი გამიჭრეო.  
- კარგი, - ეტყვის ოქროს თევზი და მისცემს პატარა ბუზს, - აბა, ეს ბუზი შეუშვი სახლში და ყველა სხვა ბუზებს ერთ დღეში გააჭრისო.

მეორე მეთევზეს ეკითხება: შენ რა გინდაო.  
- მე ბევრი ტარაკანა მყავსო. მისცემს ამასაც პატარა ტარაკანას და ეტყვის: - ეს გაუშვი სახლში და ერთ დღეში ყველა ტარაკანას მოსაპობსო.

ამ დროს ნარკომანი ამბობს: - მშაგაც, თუ შეიძლება, ჩემი სურვილები უკან დაიბრუნე და ერთი პატარა პოლიციელი მომიცი... \* \* \*

კახელი სამსახურს ეძებს. მივა ერთ-ერთ ორგანიზაციაში, სადაც განცხადებით უნდა მიმართოს დირექტორს.

გააფრთხილებენ: - ჩვენი დირექტორის გვარი ტრანკაძეა და კარგად დაიხსოვებ, ტრანკაძე არ უთხრა, თორემ გადაიბრუნებ და სამსახურში აღარ მიგიღებენო.

მთელი ის დღე და ღამე კახელი ასო "ნ"-ზე ფიქრობდა და სულ: "ნნნნ"-ს იძახდა. მეორე დღით შევიდა დირექტორთან და კახურ კილოზე ჰკითხა: - ამხანაგი პრინციპილი თქვენა ბრძანდებით? რაც მთავარი იყო, ასო "ნ" არ დააგვიწყდა.

## სიღმრეების ასხნა დანიულ წინასწარმეტყველის მიერ

ვაგრძელებთ ნაწვევების ბეჭდვას "ეგრემ ვერდის" წიგნის იმ მონაკვეთიდან, სადაც შეკრებილია სიზმრების ასხნა დანიელ წინასწარმეტყველის მიერ.

- ინდაური - კარგია, დოვლათი მოიმატოს;
- იარაღი - კარგია, პატივი და ქონება შეგემატოს;
- იარაღის ხმარება - ჩხუბის და აღიაქოთის ნიშანია;
- ირემი - კარგია და ახალი სიხარული შეგემატოს;
- ირმის მოკვლა - ცუდია და სინანულის ნიშანია;

- იასა ჰკრიფავდე - სიხარული და ღვინო მოგემატოს;
- იხვი - ცუდი ნიშანია, ავადარს მოასწავებს;
- ისტორია რამე საწყენი გესმოდეს - ძალიან კარგი და საკეთილია;
- კაცის მოკვლა - მწუხარების და ნაღვლის მომატების ნიშანია;
- კუბოს გაკეთება - ნიშანია სიხარულისა და პატივისცემისა;
- კბილის ჩამოვარდნა - ნათესავის სიკვდილია;
- კატა - ცუდია, ოჯახში სამღურავი და ჩხუბი აიშალოს.

**ვაზის საოცარი ჯიში**

ფირმა "გამწვანება" კრწანისი ვითარებაში უნიკალური ჯიშის ვაზს, რომელსაც ჩვენი შორეული წინაპრები ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში აშენებდნენ ვარძიში ტერასებზე მოწყობილ ვენახებში. თეთრი და შავი ჯიშის ვაზი ისხამს 3-კედლოვანი მტევნებს, რაც მთავარია, ყინვა და გვალვამდე ჯიშის ვაზი ხარობს საქართველოს ნებისმიერ კუთხეში - სუბტროპიკული ზონით დაწყებული და ალპური ზონით დამთავრებული. მას არ ჭირდება შეწამლა, როგორცაა კი შუა სექტემბერს არ სცილდება. ვაზს, რომელიც მოსავალს მესამე წელს იძლევა, არ სჭირდება მობარვა და სწორედ ამიტომაც დაარქვა ფირმის ხელმძღვანელმა ზაურ თაბაგარმა "სამეფო" და "სათავადო", რადგან ამ წრის ხალხს ქეიფი უფრო ეხერხებოდა, ვიდრე ვენახის მოვლა.

ტელ. 72-05-06.  
მის. - თბილისი, გორგასალის 52. შპს "გამწვანება" კრწანისი.

**არამ ტრეიდი ბთავაშვილი**

კომპიუტერებს და აქსესუარებს ყველა სახის კომპიუტერულ მომსახურებასა და სერვისს ასევე მაღალტექნოლოგიურ LCD მონიტორებს, ტელევიზორებს, ციფრულ ფოტოაპარატებს და სხვადასხვა სახის სპეც. ტექნიკას

897 957-032  
მობრკანლით!!!  
მუშაობის № 23

გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციის ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, მესამე ნადიკვარის №11 სარეგ. №01018002930

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალალანია  
მთ. რედაქტორის მოადგილე: ღვინო ქობალაია  
ტექნიკური რედაქტორი: მისილ ჩოლოჩივილი

anaklia@web.de  
e-mail: elisabetthal@yahoo.de  
ჩაქალაქის განთავსება  
899-57-33-22  
72-37-35  
38-41-97